

# Arabesque

BALLET MAGAZINE

არაბესკი ქურონალი ბალეტზე

No1(21)'13







ქართული ბალეტის მეგობართა  
საზოგადოების წევრები  
LIST OF THE MEMBERS OF FRIENDS  
OF THE GEORGIAN BALLET

სეზონი 2012/2013 SEASON

1. გიორგი ჭირაქაძე და სარა ვილიამსონი George Chirakadze and Sarah Williamson	ოქრო Gold
2. ნეილ და მიშელ დანები Neil and Michele Dunn	ოქრო Gold
3. რიჩარდ ნორლანდი და მერი ჰარტნეტი Richard Norland and Mary Hartnett	ოქრო Gold
4. ბრიჯიტ ბრინკი და ნიკ ჰიგინსი Bridget Brink and Nick Higgins	ოქრო Gold
5. ანდრეას ჰეიდინგსფელდერი Andreas Heidingsfelder	ოქრო Gold
6. ჯონ და ჰოლი ჰოლცერ ბასი John Bass and Holly Holzer Bass	ოქრო Gold
7. მასაიოში და ჯუნკო კამოჰარა Masayoshi and Junko Kamohara	ოქრო Gold
8. პიტერ და მაიკ ლანგენბერგი Pieter and Mieke Langenberg	ოქრო Gold
9. კარლოს ა. ასფორა Carlos A. Asfora	ოქრო Gold
10. ფილიპ ლიმეტ დევეზი Philippe Limet Dewez	ოქრო Gold
11. კაროლინა ფორესტიერი Caroline Forestier	ოქრო Gold
12. ლენა კილაძე Lena Kiladze	ოქრო Gold
13. კარენ ვოლფსონი Karen Wolfson	ოქრო Gold
14. მაია ფრენკ-ჰენიგი და ორტვინ ჰენიგი Maya Frank-Hennig and Ortwin Hennig	ოქრო Gold
15. მილა და პოლ ჰოლოუეი Mila and Paul Holloway	ოქრო Gold
16. ტობია სებასტიან თიბერგი და ფლორიან ფაკნერი Tobia Sebastian Thyberg and Florian Fuckner	ვერცხლი Silver
17. ემი ანტონიადეს-აუსტერმილერი Amy Antoniaades-Austermiller	ვერცხლი Silver
18. პლამენ ბონჩევი Plamen Bonchev	ვერცხლი Silver
19. ილიანა დერილოვა Ilyana Derilova	ვერცხლი Silver
20. მიშელ დეროჰანესიანი Michelle DerOhanesian	ვერცხლი Silver
21. ელენა დიმიტროვა Elena Dimitrova	ვერცხლი Silver
22. იზაბელა ემბორგი Isabella Emborg	ვერცხლი Silver
23. მაკა გოცირიძე Maka Gotsiridze	ვერცხლი Silver
24. ივან იესტრაბ და ევა იესტრაბოვა Ivan Jestráb and Eva Jestrábová	ვერცხლი Silver
25. მაკა ყუბუსიძე (წინო ზეკაშვილის ხსოვნის საპატიოცემულოდ) Maka Kubusidze: in loving memory Nino Zekashvili	ვერცხლი Silver
26. ანა მელცერი Anna Meltzer	ვერცხლი Silver
27. პიერ ორლოვი Pierre Orloff	ვერცხლი Silver
28. იაროსლავა (ლოლა) პეტროვა Yaroslava (Lola) Petrova	ვერცხლი Silver
29. თაკო რთველიაშვილი Tako Rtvelashvili	ვერცხლი Silver
28. ნატალია ტომასოვა Natalya Tomasova	ვერცხლი Silver
29. ტაიბ ბარვარი Taib Barwari	ვერცხლი Silver
30. ჰიროკი ტოგუნაგა Hiroki Togunaga	ვერცხლი Silver

დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ დარეკოთ:  
For additional information, please call:

(995 32) 235 75 03

# მეგობარი ბალეტის

ქართული საზოგადოება

გთხოვთ განვერინდეთ ქართული ბალეტის მეგობართა საზოგადოებაში, რათა დაეხმაროთ ქართულ საბალეტო დასს, რომლის სამხატვრო ხელმძღვანელი გახლავთ მსოფლიოში ცნობილი ბალერინა ნინო ანანიაშვილი.

ქართული ბალეტის მეგობართა საზოგადოების დამფუძნებლები არიან: **სილვა აკოპიანი, ლია მაჭავარიანი, ელისაბედ საღარაძე, ირინა ხომერიკი** და **ლილი ჰაუფი**. საპატიო დამფუძნებლები არიან: **მეიდა მაკლარენი** და **ინა გუდავაძე**.

მმართველობითი საბჭოს თანათამგჯდომარეები არიან: **სარა ვილიამსონი** და **მიშელ დანი**; საპატიო მმართველობითი საბჭოს თავმჯდომარე: **მარიელა ს. ტეფტი**.

ქართული ბალეტის მეგობართა საზოგადოების მხარდამჭერია თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის მმართველი დავით საყვარელიძე.

Please join us as members of *Friends of the Georgian Ballet* and help us to support the revitalization of this venerable ballet company under the artistic directorship of world-renowned ballerina, Nina Ananiashvili

Founders of *Friends of the Georgian Ballet* are: **Silva Akopian, Lily Hauf, Irina Khomeriki, Lia Machavariani, and Elisabed Sagaradze**. Honorary founders are: Maida MacLaren and Inna Gudavadze.

Members of the Governing Board are: Co-Chairmen **Sarah Williamson** and **Michele Dunn**; Honorary Chairman is: **Mariella C. Tefft**.

*Friends of the Georgian Ballet* is supported by Managing Director of the Tbilisi Z. Paliashvili Opera and Ballet State Theatre D. Sakvarelidze.

## Friend of THE GEORGIAN BALLET





# Arabesque

No1(21) 2013

Ballet Magazine

„არაბესკი“ შურნალი ბალეტზე



ზაპარია ფალიაშვილის სახელობის  
თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის  
საბალეტო ფასის შურნალი

MAGAZINE ABOUT THE BALLET COMPANY OF  
THE TBILISI Z. PALIASHVILI OPERA AND BALLET STATE THEATRE

გამოდის წელიწადში ორჯერ

Issued twice a year

საბალეტო ფასის სამხატვრო ხელმძღვანელი  
ნინო ანანიასვილი

ARTISTIC DIRECTOR OF THE BALLET COMPANY  
NINA ANANIASHVILI

მთავარი რედაქტორი  
ილია თავბერიძე

Editor-in-Chief  
ILIA TAVBERIDZE

ინგლისური ტექსტების  
რედაქტორი

Editor of the English  
language content

თორნიკე ხომერიკი

TORNIKE KHOMERIKI

დიზაინი

Design by

ბესიკ დანელია

BESIK DANELIA

ფოტოგრაფი

Photographer

ლადო ვაჩნაძე

LADO VACHNADZE

გარეკანის პირველ გვერდზე: სცენა ბალეტიდან „ამო სიფრთხილე“.  
გარეკანის მეოთხე გვერდზე: სცენა ბალეტიდან „ეს თავდაყირა სამყარო“.  
ლადო ვაჩნაძის ფოტოები

First cover page: scene from ballet *La fille mal gardée*.  
Fourth cover page: scene from ballet *Oh, Inverted World*.  
Photos by Lado Vachnadze

ნომერში გამოყენებულია ლადო ვაჩნაძის, ჰიდემი სეტოს, გიორგი ტაავას და  
გელა ბედიაშვილის (კულტურის სამინისტრო), მაკა გოგოლაძის, უკრაინის ოპერისა  
და ბალეტის თეატრის, თბილისის ოპერის თეატრის მუზეუმის ფოტოები

The issue features photographs by Lado Vachnadze, Hidemi Seto, Giorgi Tsaava and Gela  
Bedianashvili (Ministry of Culture), Maka Gogoladze, the Opera and Ballet Theatre of  
Ukraine and the Tbilisi Opera Theatre Museum

დაბეჭდა შპს „ფავორიტი სტილი“  
Printed in "Favorite Style" Ltd

თბილისი, რუსთაველის ბაზ. 25

25, RUSTAVELI ave. 0108, TBILISI, GEORGIA

ტელ/TEL: +995 32 235 75 03

ტირაჟი: 300

UDC (უპკ) 792.8

A-70

ISSN 1512-3294

www.opera.ge

161-ე თეატრალური სეზონს საბალეტო დასი ორი ახალი პრემიერით და საერთაშორისო პრემია „ვარსკვლავის“ დაჯილდოების ცერემონილით დახურავს. ამ მნიშვნელოვან მოვლენებზე მკითხველს უკვე შემოდგომაზე, „არაბესკის“ მორიგ და ამ წლის მეორე ნომერში მოვუხირობთ. ტრადიციად ჩამოყალიბდა – მკითხველს ორჯერ ვხვდებით წელიწადში, ჩვენი სათქმელიც ორ სეზონადაა გაყოფილი – გაზაფხულის და შემოდგომის ამბებზე. თეატრის ცხოვრებაც ასეთია. მნიშვნელოვანი ამბები წელიწადის ამ დროს ხდება ხოლმე.

გასული წლის მიწურულს სამი ერთმომედებიანი ბალეტის პრემიერა გაიმართა. „სამი განსხვავებული სტილის, ხედვისა და კონცეფციის თანამედროვე ქორეოგრაფის ბალეტის დადგმა ერთ სეზონზე – ეს ბალეტის მოყვარულებისთვის დიდი საჩუქარია, მოცეკვავეებისთვის კი საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენის საუკეთესო საშუალება“ – წერს თავისი რეცენზიის ბოლოს ირინა ბაგაური. რეცენზია სწორედ საპრემიერო სპექტაკლებს ეძღვნება. ირინა ბალეტის დიდი მოყვარული და გულშემატყვიარია. „არაბესკთან“ თანამშრომლობა მაშინ დაიწყო, როცა იტალიაში სწავლობდა და წერილებს გვიგზავნიდა რომიდან. სხვადასხვა ავტორების აზრი განსაკუთრებით საინტერესოა ჩვენთვის. ამიტომ, ყოველთვის მზად ვართ ჟურნალში ადგილი დავუთმოთ მათ. ჯგუფ „შინ“-ის პროექტში საბალეტო დასის მონაწილეობაზე კი ჟურნალისტი მარიაკა შალიკაშვილი მოგვითხრობს, რომელიც საზოგადოებრივ მაუწყებელში კულტურის ამბებს აშუქებს.

ამ ნომერში გასული სეზონის კიდევ ორ მნიშვნელოვან საბალეტო მოვლენაზე გვექნება საუბარი – ნინო ანანიასვილი დაბადების 50 წლისთავი „გედების ტბაში“ გამოსვლით აღნიშნა. რუსთაველის თეატრში კი ელენე გლურჯიძის შემოქმედებითი საღამო გაიმართა. ორივე საღამო სასიამოვნო საჩუქარი იყო ბალეტის ქართველი მოყვარულებისათვის.

და ბოლოს ჯორჯ ბალანჩინის იუბილის შესახებ. 2014 წელს გენიალური ქორეოგრაფის დაბადებიდან 110 წელი სრულდება. ჩვენ ვაგრძელებთ წერილების გამოქვეყნებას მისი ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. იანვარში ვგეგმავთ საიუბილეო ნომრის გამოცემას. იქნებ იდეებით შეგვეხიანოთ.

## მომავალ შეხვედრამდე!

The 161st theatrical season is celebrated by the company with two premieres and awards for the international prize “Star”. These significant events will be subjects of the second Arabesque issue of the year. It has become a custom to meet our readers twice a year, which splits our content into two seasons of spring and fall. Such is theatrical life, too, with significant news taking place during these times of the year.

The premiere of three one-act ballets took place near the end of last year. “Staging ballets by three choreographers with differing styles, visions and concepts during one season is a great gift for ballet fans and the best opportunity for dancers to show their abilities”, Irina Bagauri said at the conclusion of her review which concerns these premieres. Irina is a great admirer and supporter of ballet. She began her collaboration with Arabesque when she studied in Italy and sent her articles from Rome. Thoughts by various authors are especially important to us, therefore we are always ready to find space for writers. Journalist Marika Shalikhshvili – reporting on culture news at the Public Broadcasting Channel – has reviewed the participation of the company in a project by The Shins.

Two more ballet events of the previous season are covered in the issue – Nina Ananiashvili celebrated her 50th birthday anniversary with a Swan Lake performance, while the Rustaveli Theatre hosted an evening of art of Elena Glurdjidze. Both evenings were pleasant presents for Georgian ballet-goers.

And finally about the upcoming George Balanchine celebration – 2014 marks 110th anniversary since the birth of the genius of choreography. We continue to publish articles about his life and artistic work and also plan to issue an anniversary special in January, for which we would welcome your ideas.

See you next time!

04 ქუჩა  
The Street

06 საიდუმლო ბაღი  
The Secret Garden

08 რაიმონდა  
Raymonda

10 Ballet News



თარიღი · DATE

12 „გედების ტბა“ საიუბილეოდ  
Swan Lake for Anniversary

ახალი სპექტაკლები · NEW PRODUCTION

16 ამაოდ გამოჩენილი სიფრთხილე  
Futile Precaution

სახელები · NAMES

20 ელენე გლურჯიძის შემოქმედებითი საღამო  
Elena Glurdjidze's Evening of Art





პრემიერის წინ - AHEAD OF PREMIERE

გვანტა ბადურაშვილი - GVANTSA BADURASHVILI

24

იორმა ელო: აქ ჩამოსვლას ინტერესით ველოდი  
Jorma Elo: I looked forward to coming here

26

ქრისტოფ დოზი: ამ ბალეტში ვუკავშირდებით მუსიკას და ემოციებს  
Christophe Dozzi: We connect to music and emotion in this piece

28

დასი  
The Company



30

წიგნის პრეზენტაცია  
Presentation

ახალი პროექტი - NEW PROJECT

მარიკა შალიკაშვილი - MARIKA SHALIKASHVILI

32

„შინ“-ის „არაჩვეულებრივი გამოფენა“  
*Extraordinary Exhibition by The Shins*



36

Ballet News

ფესტივალი - FESTIVAL

38

თანამედროვე ცეკვის ფესტივალი თბილისში  
Contemporary Dance Festival in Tbilisi

ჯორჯ ბალანჩინი - 110 - GEORGE BALANCHINE - 110

ილია თავბერიძე - ILIA TAVBERIDZE

40

ბალეტი-ეპილოგი  
The Epilogue Ballet



# ქუჩა The Street

ირინა ბაგაური

სპეციალურად „არაბესკისთვის“

Irina Bagauri

For Arabesque

ქუჩა ბევრნაირია, გააჩნია, სად ცხოვრობ. ძველი თბილისის უბნების, მაგალითად ზემო სოლოლაკის ქუჩები, ვიწროა და ოღრო-ჩოღრო, დაჩრდილული და ნესტის სუნით გაჟღენთილი, სადაც კანტიკუნტად თუ შეგხვდებიან ადამიანები და ზანტად მიიზღაზნებიან ეზოს კატა-ძაღვები. აი, ძველი რომის ქუჩები კი სულ სხვანაირია: ტურისტებს ადევნებული არაბებით, გამოუძინებელი მეძაგებითა და კათოლიკე მღვდლებით სავსე. ქუჩა კარგია, თუ ქუჩაში სისხამ დილით გამოხვალ და სუფთა ჰაერს ჩაისუნთქავ. ცუდია, თუ იმის იქით წასასვლელი არსად გაქვს. მოკლედ, ქუჩა იმდენნაირია, რამდენი თვალიც არსებობს.

მარიამ ალექსიძის თვალით დანახული, შემდეგ კი მისივე ქორეოგრაფიის ენით გადმოცემული „ქუჩა“ ერთმოქმედებიანი ბალეტია, რომლის ნახვის საშუალებაც ქართველ მაყურებელს რვა დეკემბერს, თბილისის გრიბოედოვის სახელობის დრამატულ თეატრში მიეცა.

30 წუთიანი ქუჩა ოთხ ამბავს: სასოწარკვეთილი ქალის, მხიარული ტრიოს, შეყვარებული წყვილისა და ერთი ნარცისი მამაკაცის მხიარულ ისტორიას იტევს. ეს მინიატურები ქუჩის ბინადარის, უსახლკარო, ქუჩაში მოხეტიალე ადამიანის თვალით დანახული,

Streets can be different depending on where you live. Those in the Old Tbilisi district – the Upper Sololaki for instance – are narrow, bumpy, covered in shades and a have a damp smell. They feature rare appearance of people and of lazily walking cats and dogs. Streets in the Old Rome are entirely different: full of Arabs who chase tourists, sex workers who are deprived of sleep, and Catholic priests. A street is good if you go out in the early morning to breathe in some fresh air, but bad if you have nowhere else to go. There are as many streets as eyes looking at them.

*The Street* – seen with the eyes of Mariam Aleksidze and relayed with her choreographic language – is a one-act ballet the Georgian audience could see on December 8 at Aleksander Griboyedov Drama Theatre in Tbilisi.

The 30-minute Street includes four stories about a desperate woman, a love triangle, a couple and a merry tale about a man. The miniatures represent stories full of sadness and humor, as seen by a strolling inhabitant living in the corner of the street. The tales feature music by Joseph Haydn and Ana Tchaikashvili (with musical collage by Tchaikashvili). As a common watcher I had three





სევდითა და იუმორით გაჯერებული ამბები, რომლებიც იოზეფ ჰაიდნის და ანა ჭაბაშვილის მუსიკაზე სრულდება (მუსიკალური კოლაჟის ვერსია ანა ჭაბაშვილის ეკუთვნის). თავად კი, როგორც რიგით მაცურებელს, სპექტაკლიდან ყველაზე მეტად, სამი რამ დამამახსოვრდა: ანკა კალათოზიშვილის ელეგანტური და სადა კოსტიუმები, მინიმალური დეკორაცია და ნინო გოგუასა და დავით ანანელის დუეტი — შეყვარებული წყვილის ჩხუბისა და შერიგების ვნებიანი ამბავი, რომლის ნახვაც ემოციის გარეშე შეუძლებელია. ქორეოგრაფიასთან, შეიძლება ითქვას, სრულ ჰარმონიაში მოდის მოცეკვავე წყვილის სილამაზე და მათი სამსახიობო ოსტატობა, განსაკუთრებით კი ნინო გოგუას შესრულება, რომლის ლამაზი სხეული და შინაგანი ლირიზმი ალბათ დამატებითი ინსპირაციის წყაროა მასთან მომუშავე თანამედროვე ქორეოგრაფისთვის.

მარიამ ალექსიძეს დიდი ხნის განმავლობაში კლასიკური ბალეტის მოცეკვავედ ვიცნობდი, თუმცა, სულ რამდენიმე წლის წინ, ქართველ მაცურებელს მის მიერ დადგმული პირველი საბალეტო სპექტაკლი რომ წარუდგინა, მისი ქორეოგრაფობა არავის გაჭკვირვებია. თითქოსდა ლოგიკური იყო, რომ მისი სამომავლო საქმიანობაც მამის — გიორგი ალექსიძის მსგავსად, ქორეოგრაფიაში უნდა გაგრძელებულიყო.

„ქუჩა“ პირველი ბალეტია, რომელიც ქორეოგრაფმა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში დადგა. ახალგაზრდა ქორეოგრაფის ყოველ ახალ დადგმას ინტერესით ვნახულობ. მარიამ ალექსიძის პირადი ხელწერა თანდათან კიდევ უფრო მეტად იკვეთება. იგი იმედისმომცემი თანამედროვე ქართველი ქორეოგრაფია.

foremost impressions from the production: elegant and simple costumes by Anka Kalatozishvili, minimal backdrop and the Nino Gogua and David Ananeli duo, which is a tale of conflict and reconciliation of a couple that is impossible to witness without emotion. The beauty and artistic mastery of the couple is in full harmony with the choreography. Nino Gogua's performance was especially notable with this regard. Her beautiful body and inner lyricism is probably an additional source of inspiration for a contemporary choreographer working with her.

We had known Mariam Aleksidze for a long time as a classical dancer, but for some reason nobody was surprised by the premiere of her first choreographic work just a couple of years ago. Maybe it seemed logical that her career would continue in choreography, similarly to her father Giorgi Aleksidze.

*The Street* is the first ballet staged by the choreographer at Tbilisi Opera and Ballet Theatre. I am always on the lookout for her stagings. Mariam Aleksidze's handwriting is becoming clearer with time. She is a promising contemporary Georgian choreographer.



# საიდუმლო ბაღი The Secret Garden

საშა ევტიმოვა მაკედონელი მოცეკვავე და ქორეოგრაფია. მის შესახებ პირველად მაშინ შევიტყე, როდესაც მისივე დადგმული საპრემიერო სპექტაკლი ვნახე თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში და პროგრამაში მის შესახებ ბიოგრაფიული ცნობები წავიკითხე. ამ ბიოგრაფიიდან ჩანს, რომ საშა წარმატებული ადამიანია. ახლახანს იგი დიაგნოზის სახელობის ქორეოგრაფიული ფესტივალის გრან პრის მფლობელიც გახდა. თბილისში დადგმული მისი ბალეტის მიხედვით კი მივხვდი და უფრო მეტიც, დავრწმუნდი, რომ საშა ევტიმოვა ამასთან ერთად პოეტიცაა.

საშა ევტიმოვას ქორეოგრაფიული ლექსი ღრმად სენტიმენტალური ლირიზმითაა გაჯერებული, რომელიც ქორეოგრაფიული კუთხით, არ გადადის ზღვარს და მოჭარბებულ გრძნობებს ბრაზილიური სერიალებისთვის დამახასიათებელ კიჩურობას სძენს ხოლმე. თუმცა, მეორე მხრივ, ამას ვერ ვიტყვოდი ქორეოგრაფისა და ვიდეონსტალაციის ავტორის მიერ შერჩეულ რამდენიმე ფოტოზე, რომელიც ოდნავ ზედმეტად გულისამაჩუყებელ ელფერს სძენს წარმოდგენას და თავისთავად ძალიან კარგ იდეას თითქოს აუფერულებს.

Sasha Evtimova is a dancer and choreographer from Macedonia. I first discovered her on seeing a Georgian premiere of her work and reading biographic notes in an evening program. The biography shows Sasha is successful. She recently won the Sergei Diaghilev Choreographic Festival Grand Prix, while her ballet staged in Tbilisi made me realize, and understand, that Sasha Evtimova is a poet, too.

Evtimova's choreographic poetry is full of sentimental lyricism that does not exceed the boundary that gives excessive feelings the kitchy character of Brazilian soap operas. On the other hand, I could not say the same about the choice the choreographer and video installation author made with photographs that gave the production a bit too sentimental of a mood and deprived the great idea of its colors.



„საიდუმლო ბალი“ არის სებასტიან პლანოსა და ოლაფურ არნალდსის მუსიკალურ კომპოზიციებზე დადგმული ბალეტი განცდებისა და გრძნობების შესახებ, რომელშიც მონაწილეობა დასის თხუთმეტმა მოცეკვავემ მიიღო. მუსიკა ამ ბალეტის ერთ-ერთი გამორჩეული ღირსებაა. ჩვენთან ნაკლებად ცნობილი კომპოზიტორების ნაწარმოებები ქორეოგრაფისთვის ინსპირაციის წყარო რომ აღმოჩნდებოდა, ეს პირველივე ტაქტიდან გახდა ნათელი.

თითოეულ მოცეკვავეს წარმოდგენაში თანაბარი დრო აქვს დათმობილი, აქ არ არსებობს წამყვანი და მეორეხარისხოვანი პარტიები, ქორეოგრაფისთვის ყველა მონაწილე ერთნაირად მნიშვნელოვანია. მათ შორის იყვნენ კორდებალეტის ისეთი მოცეკვავეებიც, რომელთა სოლო გამოსვლაც სასიამოვნო სიურპრიზი აღმოჩნდა მაყურებლისთვის.

საშემსრულებლო ტექნიკითა თუ მონაცემებით „საიდუმლო ბალის“ მონაწილეები ბუნებრივია, განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან. რთულია, გამოყო რომელიმეს შესრულება, იმდენად გათავისებული ჰქონდა თითოეული მათგანს ქორეოგრაფიული ტექსტი და იმდენად ჰარმონიული იყო მათი ერთად ყოფნა სცენაზე. თუმცა რამდენიმე მაინც დამამახსოვრდა — ეკა სურმავას საოცარი პლასტიკა და გარდასახვა, კატო ლომინაძის ტრაგიკული დანახული განვლილი ცხოვრება და ემოციური შესრულება.

ქორეოგრაფმა, ბალეტის შექმნისას, თითოეულ მოცეკვავეს თავისი პირადი სათქმელიც დაუტოვა. სათქმელი კი ყველაზე წრფელად და ადვილად მაშინ ითქმის, როდესაც მას ავტორი სხვა ჰყავს, ინტერპრეტაცია კი — შენია.

*The Secret Garden* is a ballet about emotional experiences and feelings, staged on musical compositions by Sebastian Plano and Ólafur Arnalds. The work featured fifteen dancers of the company. Music is one of the special qualities of the piece. The very first measures of the score made it clear why the music — by composers not so well known here — would have served as a source of inspiration for the choreographer.

Each dancer is allocated the same time in the production, with no leading and second string roles in the choreography that grants same importance to every participant. The cast even featured some corps de ballet dancers the audience was positively surprised to see in solo parts.

Naturally the dancers of *The Secret Garden* differed in performing technique and qualities. It would be difficult to single someone out, with each of them having taken the choreographic text in and complementing others in on-stage harmony. But there were still some things that impressed. Namely, Eka Surmava's amazing plasticity and transition as well as Kato Lominadze's tragic view of life and her emotional performance.

The choreographer left personal statements for each dancer while creating the ballet. And statements are provided with the most honesty and ease when someone else has made them, but interpretation is only yours.



# რაიმონდა Raymonda

რაიმონდა, ერთ-ერთი ყველაზე ძველი სიუჟეტის ბალეტია. მისი პრემიერა მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს, პეტერბურგის საიმპერატორო კარის თეატრში შედგა და ის შუა საუკუნეების ფრანგი თავადის ასულისა და მისი მიჯნურის – ჟან დე ბრიენის მღელვარე-ბითა და წინააღმდეგობებით აღსავსე სიყვარულის ამბავზე მოგვითხრობს.

8 დეკემბერს თბილისელმა მაყურებელმა რაიმონდას მესამე მოქმედება ნახა, რომლის გრან პა კლასიკური ბალეტის მეტრის – მარიუს პეტიპას ერთ-ერთ შედეგად მიიჩნევა. მესამე მოქმედება კი, რომელიც თბილისში პირველად დაიდგა, ბალეტის სამხატვრო ხელმძღვანელის – ნინო ანანიაშვილისა და მისი ყოფილი პარტნიორის – ალექსეი ფადეეჩევის რედაქცია გახლავთ. ამ წყვილის მიერ შესრულებული „რაიმონდა“, მათ მიერ შექმნილი სახეები დიდი თეატრის ლეგენდარული ისტორიის ნაწილია. თბილისში კი საპრემიერო წარმოდგენაზე ანანიაშვილს პარტნიორობა დასის ახალ-გაზრდა სოლისტმა – ერიკ ბუროუმ გაუწია.



რაიმონდა იმ საიმპერატორო ბალეტებს მიეკუთვნება, რომლის სცენაზე გადმოტანის უფლებასაც თავს ძირითადად მსოფლიოს წამყვანი თეატრები აძლევენ. ის განსაკუთრებით უყვართ პარიზში, სადაც უკვე მეოცე წელია მას რუდოლფ ნურიევის რედაქციით ცეკვავენ, პეტერბურგში, ნიუ-იორკში, მილანსა და მოსკოვის დიდ თეატრში, რომლის სცენასაც ამ პარტიის არა ერთი ლეგენდარული რაიმონდა ახსოვს. ამ ბალეტის გამორჩეულ შემსრულებლებზე საუბრისას თუ ვინმეს იგონებენ, ერთ-ერთი პირველთაგანი აუცილებლად ნინო ანანიაშვილია.

*Raymonda* is one of the oldest ballets based on a plot. It premiered near the end of the nineteenth century in the Imperial Theatre of St. Petersburg and told a story of love between a medieval French count daughter and her beloved Jean de Brienne; A story full of emotion and obstacles.

On December 8 the audience in Tbilisi saw *Raymonda* act three, the grand pas of which is considered one of masterpieces by the master of classical ballet Marius Petipa. The third act presented for the first time in Tbilisi is a redaction by Nina Ananiashvili and her former partner Alexey Fadeechev. The *Raymonda* characters created by the duo are part of the legendary Bolshoi history. Ananiashvili was partnered for the premiere by young soloist of the Tbilisi company Eric Burrough.

*Raymonda* is one of the imperial ballets that only the leading international theatres attempt to stage. The piece is especially loved in Paris – where it has been staged with the Rudolf Nureyev redaction for the last twenty years – as well as in St. Petersburg, New York, Milan and Moscow, with the Bolshoi Theatre of the latter having seen many legendary *Raymondas*. Among these famous performers, Nina Ananiashvili is one of the first whose name arises during any discussion on the matter.

Much has been said and written about Ananiashvili's incomparable *Raymonda*. And her December 8 brilliance was the kind usually seen in the above mentioned leading theatres.

In the classical variation danced by Ananiashvili on the evening she was unlike either the cold and gloomy *Raymondas* of Paris who beat hands in strict and unmerciful character, and brash porcelain dolls of St.

ნინო ანანიაშვილი რომ შეუდარებელი რაიმონდაა ამაზე ბევრი თქმულა და დაწერილა. ამჯერადაც, რვა დეკემბრის საღამოს, ის ისეთი ბრწყინვალეებით წარსდგა სცენაზე, როგორი გამოსვლების ხილვის ფუფუნებაც ძირითადად, ზემოხსენებულ წამყვან თეატრებს თუ აქვთ ხოლმე.

კლასიკურ ვარიაციაში, რომელიც ანანიაშვილმა 8 დეკემბერს იცეკვა, ნინო არც პარბულ ცივ და პირქუშ რაიმონდებს ჩამოჰგავდა, რომლებიც მკაცრად და გამეტებით ურტყამენ ხელს ხელზე და არც პეტერბურგელ მეტისმეტად მყიფე ფაიფურის თოჯინებს. ის ნამდვილი, სიცოცხლით სავსე და შეყვარებული ქალი იყო, რომელიც ასხივებდა საყვარელ ადამიანთან ყოფნით გამოწვეულ ბედნიერებას.

საპრემიერო საღამოს, მისმა ბრწყინვალეებამ დაჩრდილა ყველა ის ხარვეზი, რომელიც თან ახლდა წარმოდგენას, რომელიც ამჯერადაც ოპერისა და ბალეტის მშობლიური სცენის ნაცვლად, დასის დროებით თავშესაფარში – გრიბოედოვის დრამატულ თეატრში ფონოგრამაზე აჟღერებული მუსიკისა და ვიდეო ინსტალაციის თანხლებით გავიდა.

თუმცა, რაიმონდას მესამე მოქმედების წარმატებული ჩვენება საფუძველს გვაძლევს, იმედი დავიტოვოთ, რომ ოპერისა და ბალეტის თეატრში მიმდინარე სარესტავრაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ, ქართველი მაყურებელი ამ ბალეტს უკვე სრულად, მეტი ფერებითა და ცოცხლად აჟღერებული მუსიკის თანხლებით იხილავს.

Petersburg. She was a true woman full of life and love, radiating the happiness of being beside her dear person.

Her brilliance overshadowed all deficiencies of the show staged on recorded music and accompanied by video installation at the Griboyedov Drama Theatre – a temporary shelter of the company – instead of their native theatre stage.

Nevertheless, the successful presentation of act three of *Raymonda* provides for the hope that following the conclusion of the ongoing renovation of the Opera and Ballet Theatre the Georgian audience will see the more colorful piece on live music.

თანამედროვე ბალეტები კიდევ ერთხელ ვნახე რამდენიმე კვირის შემდეგ. პროგრამაში „რაიმონდას“ ნაცვლად თრეი მაკინტაერის „ეს თავდაყირა სამყარო“ უჩვენეს. თითქოს პროგრამაც უფრო შეიკრა. ამ ბალეტზე ადრეც ვწერდი. აქ კი მინდა ვთქვა, რომ სამი განსახვავებული სტილის, ხედვისა და კონცეფციის თანამედროვე ქორეოგრაფის ბალეტის დადგმა ერთ სეზონზე – ეს ბალეტის მოყვარულებისთვის დიდი საჩუქარია, მოცეკვავეებისთვის კი საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენის საუკეთესო საშუალება.

I attended another evening of the one-act ballets weeks later, where *Raymonda* was replaced in the program by Trey McIntyre's *Oh, Inverted World*. The program seemed more concluding. I have already written about this ballet so will this time take the opportunity to state that staging ballets by three choreographers with differing styles, visions and concepts during one season is a great gift for ballet fans and the best opportunity for dancers to show their abilities.



**„მაკნატუნა“ ესპანეთში**

2012 წლის 22-23 დეკემბერს ესპანეთის ქალაქ სარაგოსაში საბალეტო დასმა პ. ჩაიკოვსკის „მაკნატუნა“ ორჯერ წარმოადგინა. Teatro Principal-ის შენობაში გამართულმა გასტროლმა წარმატებით ჩაიარა, რის გამოც, ესპანელი იმპრესარიოების გადაწყვეტილებით, საბალეტო დასის გასტროლი ესპანეთში 2013 წელსაც დაიგეგმა.

**THE NUTCRACKER IN SPAIN**

December 22 and 23, 2012 in Zaragoza saw two performances of The Nutcracker by Pyotr Tchaikovsky by Tbilisi Opera and Ballet Theatre, performed at Teatro Principal. Due to successful shows Spanish impresarios decided to stage the Georgian company's Spanish tour again in 2013.



**სამი ფილმი პრიმა-ბალერინაზე**

ნინო ანანიაშვილის დაბადებიდან 50 წელთან დაკავშირებით ქართული ტელეერახებით და ინტერნეტტელევიზიებით სამი ახალი ფილმი მომზადდა, რომელიც მარტსა და აპრილში იქნა ნაჩვენები. კულტურულ ინტერნეტპორტალ Artarea-ზე გიორგი კალანდიას პროექტში „ქართული“ ნინო ანანიაშვილის საუბარი გადაიღა, რომელიც თეატრის, კინოს, მუსიკისა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში იქნა ჩაწერილი. ფილმში გამოყენებულია უნიკალური დოკუმენტური კადრები. მარტის ბოლოს პრიმა-ბალერინა ტელეკომპანია GMG -ის ეთერში ირინა ხიზანიშვილის სააგტორო გადაცემის „ესაუბრე მას“ სტუმარი იყო. კიდევ ერთი ფილმის პრემიერა აპრილში ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ეთერში 28 აპრილს შედგა. კახა კიკაბიძის ფილმი „Nina Ballerina“ ნინო ანანიაშვილის სასცენო მოღვაწეობის 30 წლის იუბილეს ფარგლებში გადაიღო რეჟისორმა. ფილმი საინტერესოა არა მხოლოდ დოკუმენტური და უნიკალური კადრებით, რაც მაცურებელმა ფილმში პირველად ნახა, არამედ საბალეტო სპექტაკლების იმ კადრებით, რომელიც რეჟისორმა თბილისში, სხვადასხვა სივრცეში სპეციალურად ფილმისთვის გადაიღო.

**THREE FILMS ABOUT PRIMA BALLERINA**

Georgian television channels and online televisions presented three films in relation to Nina Ananiashvili's 50th birthday anniversary. The films were broadcasted in March and April. Ananiashvili's talk at the State Museum of Theatre, Cinema, Music and Choreography was broadcasted via Giorgi Kalandia's project Kartuli on culture website Artarea, with the film using unique documentary material; At the end of March the prima ballerina was interviewed by Irina Khizanishvili's program Talk on GMG television channel; Another film premiered on Rustavi 2 channel on April 28 with Kakha Kikabidze's work Nina Ballerina, directed in relation to the prima ballerina's 30 years on stage. The film showed not only documentary and unique footage but the special ballet shows captured by the director in various stage spaces in Tbilisi.



გადაღებაზე ხელოვნების სახახლეში  
Shootings at the Palace of Arts

**„ბაიადერა“ კიევში**

16 მარტს ნინო ანანიაშვილმა, კიევის ოპერისა და ბალეტის ნაციონალური აკადემიური თეატრის ბალეტის სამხატვრო ხელმძღვანელის დენის მატვიენკოს მიწვევით, კიევში ლ. მინკუსის „ბაიადერაში“ ნიკეას პარტია იცეკვა. პრიმა-ბალერინას პარტნიორობას თავად დენის მატვიენკო უწევდა. მარიუს პეტიპას ქორეოგრაფიის მიხედვით „ბაიადერას“ ამ სპექტაკლის რედაქცია ნატალია მაკაროვას ეკუთვნის. ნინო ანანიაშვილის ვიზიტი კიევში და მისი გამოსვლა ფართოდ იქნა გაშუქებული უკრაინის მედია-საშუალებების მიერ. როგორც აღმოჩნდა კიევში ეს დენის მატვიენკოს ერთ-ერთი ბოლო სპექტაკლი იყო. რამდენიმე დღეში, როცა ის თბილისში „გედების ტბაში“ მონაწილეობის მისაღებად მოემგზავრებოდა, კიევის ოპერისა და ბალეტის ნაციონალური თეატრის ადმინისტრაციამ მატვიენკო ბალეტის სამხატვრო ხელმძღვანელის პოსტიდან გადააყენა. მატვიენკომ კიევის საბალეტო დასიც დატოვა.



**LA BAYADÈRE IN KIEV**

On March 16, with the invitation from Denis Matvienko – Artistic Director of Ballet Company of Kiev Opera and Ballet National Academy Theatre – Nina Ananiashvili danced Nikiya in *La Bayadère*, partnered by Matvienko. The production presented in Kiev was the redaction by Natalia Makarova. Ananiashvili’s visit to Kiev and her performance was widely reported in Ukrainian media outlets. It was later discovered the performance was one of the last in Kiev for Matvienko, who was relieved of his position of Artistic Director by the Theatre Administration several days later during his travel to Tbilisi for dancing *Swan Lake*. Matvienko also left the Kiev ballet company.

**ნინო ანანიაშვილი მინსკში**

ნინო ანანიაშვილი ბელორუსის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის 80 წლის საიუბილეო გალა-კონცერტში მონაწილეობდა. საიუბილეო საღამოზე პრიმა-ბალერინამ „მომაკვდავი გედი“ შეასრულა. საიუბილეო პროგრამის ფარგლებში, მინსკში ა. ადანის „ჟიზელი“ იქნა წარმოდგენილი. მთავარი პარტიები ნინო ანანიაშვილმა და ბელორუსის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის წამყვანმა სოლისტმა იგორ არტამონოვმა იცეკვეს.

**NINA ANANIASHVILI IN MINSK**

Nina Ananiashvili participated in 80th Anniversary Gala Concert for Belarus Opera and Ballet State Academic Theatre. The prima ballerina performed *The Dying Swan* for the evening, while the anniversary program also included *Giselle* by Adolphe Adam, in which Ananiashvili was partnered by Belarus Opera and Ballet State Academic Theatre Principal Dancer Igor Artamonov for the principal role.

**„დონ კიხოტი“ ნეაპოლში**



ქ. ნეაპოლის (იტალია) სან-კარლოს თეატრში ლ. მინკუსის „დონ კიხოტის“ ის რედაქცია დაიდგა, რომლის პრემიერა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში 2005 წელს შედგა. პროექტი სან-კარლოსა და თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრების თანამშრომლობის შედეგად განხორციელდა. ნეაპოლში ბალეტის დადგმა სპექტაკლის ქორეოგრაფებმა ნინო ანანიაშვილმა და ალექსეი ფადეეჩევმა განხორციელეს. სპექტაკლის მომზადებაში მონაწილეობდა თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სადადგმო ჯგუფი. პრემიერა ნეაპოლში მიმდინარე წლის 21 მარტს იტალიის სან-კარლოს თეატრში შედგა. მთავარი პარტიები მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტებმა სვეტლანა ზახაროვამ, მიხეილ ლოზუხინმა, ჩინარა ალიზადემ და ალესანდრო მაკარიომ (სან-კარლოს თეატრი) იცეკვეს.

**DON QUIXOTE IN NAPLES**

Teatro di San Carlo in Naples, Italy, staged the *Don Quixote* redaction that premiered at Tbilisi Opera and Ballet Theatre in 2005. The project was carried out in collaboration between the Tbilisi and Naples theatres and staged in the Italian city by Nina Ananiashvili and Alexey Fadechev with the participation of the staging group of Tbilisi Opera and Ballet Theatre. The premiere took place on March 21 at Teatro di San Carlo in Italy, with Moscow Bolshoi Theatre soloists Svetlana Zakharova, Mikhail Lobukhin, Chinara Alizade and Alessandro Macario (Teatro di San Carlo) dancing the principal roles.

# „გედების ტბა“ საიუბილეოდ Swan Lake for Anniversary

ამ სპექტაკლში ცეკვა მის კარიერაში ყოველთვის განსაკუთრებულ მოვლენას უკავშირდება. „გედების ტბაში“ გამოვიდა პირველად მოსკოვის დიდ თეატრში, ამერიკის ბალეტის თეატრშიც ამ სპექტაკლით დაიწყო და დაასრულა 17 წლიანი წარმატებული კარიერა. „გედების ტბაში“ კიდევ ერთხელ გაიბრწყინა თბილისში, როცა ქალიშვილის გაჩენის შემდეგ დაუბრუნდა სცენას და შემდეგ არაერთხელ დაიმსახურა ქართველი მაყურებლის ტაში.

Her career has always had special connections with this ballet. She began her Bolshoi career with Swan Lake, and started and concluded her seventeen-year American Ballet Theatre spell in it. The production was the showcase of her brilliance in Tbilisi when, after giving birth to daughter, she returned to the stage to hear the applause of the Georgian audience.







2013 წელს ნინო ანანიაშვილის ცხოვრებაში რამდენიმე საიუბილეო თარიღმა მოიყარა თავი – 40 წელი საბალეტო სამყაროში და 50 წელი დაბადებიდან. თუმცა თავად ამის პომპეზურად აღნიშვნა არ სურდა. გადაწყვიტა მაყურებლისთვის კიდევ ერთხელ ეჩუქებინა სიხარული და თბილისის საკონცერტო დარბაზის სცენაზე ორკესტრის თანხლებით ეცეკვა, რაც ბოლო რამდენიმე წელია (თეატრში რემონტის გამო) იშვიათობად იქცა.

მსოფლიო ბალეტის ვარსკვლავთან დენის მატვი-

ენკოსთან ერთად თბილისში ამ სპექტაკლის ეცეკვა, გასულ წელს, იაპონიაში გასტროლის დროს გადაწყდა. მატვიენკო, ქართულ საბალეტო დასთან ერთად, ტოკიოსა და იაპონიის სხვა ქალაქებში იმყოფებოდა და ნინო ანანიაშვილს „გედების ტბაში“ უწევდა პარტნიორობას.

დენის მატვიენკო ერთ-ერთია იმ პარტნიორთა შორის, ვისთან ერთადაც ნინო ანანიაშვილმა მსოფლიო საბალეტო სცენები დაიპყრო. დენისთან თანამშრომლობას ერთწლიანი, თუმცა შეიძლება ითქვას

For Nina Ananiashvili, 2013 was the year of anniversaries. Forty years in ballet and fifty since the birth were the special dates, but she did not plan to hold a pompous celebration, instead deciding to make a present for the audience and perform on Tbilisi Concert Hall stage on orchestra music, which has become a rarity for the company due to the ongoing renovation of Tbilisi Opera and Ballet Theatre.

This performance with world ballet star Denis Matvienko in Tbilisi was decided on during last year's tour of Japan, where

Matvienko partnered Ananiashvili in *Swan Lake* while performing with Tbilisi Opera and Ballet Theatre Company in Tokyo and other cities of Japan.

Matvienko is one of the partners with whom Nina Ananiashvili took world stages with storm. The current collaboration has a year-long history already full of content.

**Denis Matvienko:** “*The Swan Lake* danced by Nina is like an open book that describes everything in plain words. Usually you see the charming and beautiful ballerinas in the

შინაარსიანი ისტორია აქვს.

**დენის მატეიენკო:**

„ნინოს მიერ შესრულებული გედების ტბა გადაშლილ წიგნს გავს, რომელშიც ყველაფერი გასაგები ენითაა დაწერილი. არიან ბალერინები, თითქოს გახსნილნი, თითქოს ლამაზნი, მაგრამ მაინც გაუგებარია რა სიუჟეტია, რა უნდათ, რას ცეკვავენ. ნინოსთან კი ყველაფერი გასაგებია – სიყვარული სიყვარულია, ღალატი ღალატი.“

როდესაც კიევში ერთად ვცეკვავდით ამ ბალეტს, მეორე სურათში, როცა ტბასთან გამოვდივარ და არბალეტით ვაშინებ ოდეტას, ის ისე აწყდება სცენას, როგორც ნამდვილი შეშინებული ფრინველი. როგორც წესი ეს ყოველთვის ფორმალობაა, მაგრამ ნინოსთვის – არა. მაშინ ვისწავლე, რომ ბალეტში ფორმალობა არ არსებობს.“

ნინო ანანიაშვილის სპექტაკლებ-

production but still do not understand the essence of the plot, or what they want, or what they are dancing. Nina, on the other hand, makes it all clear – love is love, treachery is treachery. When we danced it in Kiev, during the second picture where I arrive near the lake to frighten Odette using an arbalest, she tried to escape anxiously like a scared bird. This part of the plot is always a formality, but not for Nina. That was when I learned there

are no formalities in ballet.”

While it is an internationally known fact that it is hard to find a spot for seeing Nina Ananiashvili perform, she dances so often in Tbilisi – even in season ticket shows for kids – that the momentary sellout of the April 13 tickets shocked the ballet-goers. A week before the performance there were no remaining tickets in the Tbilisi Concert Hall box office.





გე მოხვედრა რომ ძნელია ეს მსოფლიოში ყველგან იციან. თბილისში კი პრიმა-ბალერინა იმდენად ხშირად ცეკვავს რიგით, მათ შორის საბავშვო სააბონემენტო სპექტაკლებში, რომ 13 აპრილს დანიშნულ „გედების ტბაზე“ ბილეთების მომენტალურმა გაყიდვამ შოკში ჩააგდო მაყურებელი. სპექტაკლამდე ერთი კვირით ადრე დიდი საკონცერტო დარბაზის საღაროში არც ერთი ბილეთი აღარ იყო დარჩენილი.

სპექტაკლის დასასრულს ხანგრძლივი ოვაცია გაუმართეს სპექტაკლის მონაწილეებს და მის მთავარ გმირს – ნინო

ანანიაშვილს. სპექტაკლში, რომელსაც დავით მუქერია დირიჟორობდა, განსაკუთრებით კარგად წარმოჩინდა ჩვენი კორდებალეტი. მათი ხაზების სისწორემ და სინქრონულობამ მაყურებელზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

უამრავი ყვავილი და მილოცვა... შთაბეჭდილებების გაზიარება და სამახსოვრო ავტოგრაფები ფარდის დახურვის შემდეგ სცენაზე გაგრძელდა. ექსპრომტად შესრულებული რამდენიმე ფუეტეს შემდეგ პრიმა-ბალერინამ საბალეტო დასს დიდი მადლობა გადაუხადა.

Fans of her art held long ovation for the cast and Nina, the central figure of the evening. The performance – conducted by David Mukeria – especially showcased the corps de ballet, whose precise lines and synchronized movement impressed the audience.

There were lots of flowers and congratulations, while impressions were shared and autographs were signed on the stage following the performance. After doing several impromptu fouettes the prima ballerina thanked the company.



# ამაოდ გამოჩენილი სიფრთხილე Futile Precaution

ამბავი თინეიჯერ გოგონაზე მოგვითხრობს. მას არ სურს ცოლად გაჰყვეს მდიდარი ფერმერის - მიშოს სულელ ვაჟს ნიკებს და ურჩევნია ვაჟკაცურ, ახალგაზრდა კოლენს დაუკავშიროს თავისი ბედი. მხიარული ისტორია, რომელიც ორ საუკუნეზე მეტია მსოფლიოს თითქმის ყველა საბალეტო თეატრში იდგმება, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე კვლავ დაბრუნდა. „ამაოდ სიფრთხილის“ ფრედერიკ ეშტონისეული რედაქციის თბილისური პრემიერის შემდეგ შვიდი წელი გავიდა. თეატრის რემონტის პერიოდში, სპექტაკლის მასშტაბური დეკორაციების გამო, ბალეტის წარმოდგენა ვერ ხერხდებოდა. ბალეტის ხელმძღვანელობამ კი გადაწყ-

The tale is about a teenage girl who does not wish to marry Nikez, a silly son of wealthy farmer Michaud, preferring to tie her fate with manlike and brave young Colas. The merry story – staged in almost all ballet theatres of the world for more than last two centuries – has returned to Tbilisi Opera and Ballet Theatre. Seven years have passed since the Tbilisi premiere of the Frederick Ashton redaction of *La fille mal gardée*. Due to the ongoing renovation of the theatre and the large-scale sets the ballet features it had not been possible to present the production in Tbilisi. The company management decided to stage the premiere of another production on June 1, the International Children Day, as a present for kids.



ნიკეზი – გიორგი მშვენერაძე  
 მარცელინა – გიორგი ჩხაიძე  
 ლიზა – ნინო მათიაშვილი  
 კოლენი – რიო კატო  
 Giorgi Mshvenieradze as Nikez  
 Giorgi Chkhaidze as Marcelina  
 Nino Matiasvili as Lise  
 Ryo Kato as Colas



ვიტა პატარებისთვის საჩუქარი გაეკეთებინა და პრემიერა 1 ივნისს – ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს გამართა.

ბავშვების გასართობი ბალეტი – ორი სიტყვით ასე შეიძლება დავახასიათოთ ახალი სპექტაკლი. დამდგმელმა ჯგუფმა (დადგმა ნინო ანანიაშვილმა და ალექსეი ფადეეჩევმა განახორციელეს) მუსიკალურ მასალად ფ. ჰეროლდისა და ლ. ჰერტელის მიერ ამ ბალეტისათვის შექმნილი ორი სხვადასხვა მუსიკალური პარტიტურა გამოიყენეს. სცენოგრაფია მხატვარ გიორგი თანდაშივლის ეკუთვნის.

მოქმედება საფრანგეთის ერთ სოფელში ხდება, რომელსაც ამ სპექტაკლში, თქვენ წარმოიდგინეთ, სახელიც აქვს და ობერჟინი ქვია. სიმწვანეში ჩაფლული სოფლის მცხოვრები ფერმერი ქალბატონის – მარცელინას ეზო დიდიდანვე მთავარი მოქმედების არენად იქცევა. უკან ვრცელი მინდორია – პანორამა, სადაც შემდეგ მნიშვნელოვანი ამბები ვითარდება. ამბის Happy end-ი მარცელინას სახლის დიდ ოთახში თამაშდება.

The new production could be called a ballet for children’s entertainment. The staging group (of the production by Nina Ananiashvili and Alexey Fadeechev) used two different scores by Ferdinand Hérold and Peter Ludwig Hertel to create one musical version. Scenography was created by artist Giorgi Tandashvili.

The story unfolds in a French village that bears the name of Aubergin in this staging. The yard of Marcelina – one of the farmer women in the village situated in a green landscape – becomes an arena of action with the first dawn. The vast valley behind is a panorama that later showcases significant events, while the happy end of the story takes place in a large room of Marcelina’s house.

The new production looks at everything with child’s eyes: Marcelina is a snarling mother who curses all the time; Michaud, the father of Nikez, is overweight and bad-tempered. They both resemble cartoon book characters.





ლიზა – ნუსტა ჩეკურაშვილი,  
ნიკეზი – გიორგი მშვენნიერაძე  
Nutsa Chekurashvili as Lise,  
Giorgi Mshvenieradze as Nikez

ახალ დადგმაში ყველაფერი ბავშვის თვალით არის დანახული: გოგონას დედა მარცელინა ავია და სულ ილანძღება; გაბერილი, უხასიათო და ფიცხია ნიკეზის მამა – მიშო. ისინი საბავშვო წიგნის კარიკატურებს ჰგვანან. ლიზა თბილი და მოსიყვარულეა, კოლენი – ენერგიული და მოხერხებული. ნიკეზი სულელურად გამოიყურება, თუმცა ბოლოში აღმოჩნდება, რომ გაბრაზებაც შეუძლია.

ბავშვები დარბაზში ყველაფერს სიცილით ხვდებოდნენ. პატარები (და უფროსებიც) განსაკუთრებით ცხენის გამოსვლამ და მისმა ქორეოგრაფიულმა მოძრაობებმა გაახალისეს. გოჭების ცეკვაში თანამედროვე რეპის ელემენტები იყო შეტანილი. ალბათ ამით დამდგმელებმა თინეიჯერების გრძნობებს სცეს პატივი 😊.

ახალგაზრდა წყვილები სპექტაკლში გულწრფელად გამოხატავენ თავიანთ ნაზ სიყვარულს ერთმანეთის მიმართ. საპრემიერო სპექტაკლები ნინო მათიაშვილმა და რიო კატომ, ნუსტა ჩეკურაშვილმა და მამუკა კიკალიშვილმა იცეკვეს. ორივე წყვილმა თავისებურად საინტერესო სახეები შექმნეს. ნინო მათიაშვილი შეყვარებული, თუმცა მორიდებული

Lise has a warm and loving character, Colas is energetic and witty, while Nikez looks silly, but the final part also shows he can become angry.

Children in the audience met the scenes of the ballet with laughter. Appearance of a horse – as well as its choreographic movements – caused much fun from the audience, while the dance of the pigs featured contemporary rap elements, probably a nod towards the teenagers by the staging group 😊.

The young couples in the show express their fond love towards each other in a natural way. The premiere shows were danced by Nino Matiashvili and Ryo Kato, Nutsa Chekurashvili and Mamuka Kikalishvili. Both couples created their own interesting characters. Nino Matiashvili's is a girl in love, but shy in expressing her feelings, while Nutsa Chekurashvili is more bothersome and playful. Partners also responded to their games; still, Ryo Kato and Mamuka Kikalishvili's performances

გოგონა აღმოჩნდა თავისი გრძნობების გამოხატვაში, ნუცა ჩეკურაშვილი უფრო აბეზარი და ცელქია. პარტნიორებიც ადეკვატურად პასუხობდნენ მათ. რიო კატოს და მამუკა კიკალიშვილის შესრულება ტექნიკურად გამართული ჩანდა. სასაცილო და იუმორისტული სახე შემოგვთავაზა ნიკეზის პარტიაში გიორგი მშვენიერაძემ.

თუ „ამაო სიფრთხილის“ ეშტონისეულ რედაქციაში ყველაზე დასამახსოვრებელი მარცელინას ქოშებზე შესრულებული ცეკვა იყო, დამდგმელმა ქორეოგრაფებმა ამ ცეკვის განსხვავებული გადაწყვეტა მოიფიქრეს. ლიზას დედა, რომელიც მინდორში შეკრებილი ახალგაზრდების თხოვნით საცეკვაოდ გამოდის, ქოშების ნაცვლად პუანტებს იცმევს. ეს ალბათ პუანტებზე ცეკვის პაროდიად არის ჩაფიქრებული, რომელსაც გიორგი ჩხაიძე (მარცელინა) კომიკური ელემენტებით აფორმებს.

პასტორალური „ამაო სიფრთხილე“ თეატრის რეპერტუარში კვლავ გამოჩნდა. წარმოდგენები ახალი სეზონიდან განახლდება. უნდა ველოდოთ, რომ დასის სხვა მსახიობებსაც ექნებათ საშუალება სხვადასხვა გმირის საკუთარი ინტერპრეტაცია შემოგვთავაზოს „ამაო სიფრთხილეში“.

looked fine in technique. Giorgi Mshvenieradze offered a funny Nikez character with humor. He had danced the character in the previous production — back then Guga was a newcomer to the company facing quite a difficult role. The Nikez character seems in nature similar to that of Alain, but its choreographic side of the new production is somewhat difficult.

If the most memorable dance of the Ashton redaction featured Marcelina on slippers, the staging group of the new version chose a different solution for the part. Mother of Lise — out to dance after asked by young people gathered in valley — is on pointe. This probably serves as a parody of pointe dance, with comical elements added by Giorgi Chkhaidze (Marcelina).

The pastoral La fille mal gardée has reappeared in the theatre repertory, with shows featuring in programs for next season. Other artists of the company will probably have the opportunity to present their interpretation of various characters of the ballet.

მარცელინა — გიორგი ჩხაიძე, ლიზა — ნუცა ჩეკურაშვილი  
Giorgi Chkhaidze as Marcelina, Nutsa Chekurashvili as Lise

ლიზა — ნუცა ჩეკურაშვილი, ნიკეზი — მამუკა კიკალიშვილი  
Nuza Chekurashvili as Lise, Mamuka Kikalishvili as Colas



# ელენე გლურჯიძის

შემოქმედებითი საღამო

# Elena Glurdjidze's

evening of art





ელენე გლურჯიძე,  
ივან პუტროვი.  
„რაიმონდა“  
Elena Glurdjidze,  
Ivan Putrov in  
Raymonda

ინგლისის  
ნაციონალური  
ბალეტის პრიმა-  
ბალერინა ელენე  
გლურჯიძის  
მორიგი ჩამოსვლა  
თბილისში,  
მოცეკვავის  
კარიერაში  
მნიშვნელოვანი  
მოვლენით  
აღინიშნა. ელენე  
გლურჯიძემ  
პირველად იცეკვა  
მარგარიტას  
პარტია ფრედერიკ  
ემტონის ბალეტში  
„მარგარიტა და  
არმანი“.

ერთმოქმედებიანი  
ბალეტი, რომელიც  
ემტონმა მარგო  
ფონტეინისა  
და რუდოლფ  
ნურიევისთვის  
დადგა, ბალეტის  
სამყაროში  
ისტორიული  
მნიშვნელობის  
სპექტაკლადაა  
მიჩნეული.  
მისი ცეკვის  
უფლებას ყველას

არ აძლევენ.  
გადაწყვეტილების  
მიღების დროს  
ბალერინას  
მსოფლიო  
აღიარებას და  
კარიერას აქცევენ  
ყურადღებას.

**ელენე გლურჯიძე:**  
„ეს რთული  
ბალეტია. ჩემი  
გმირი სცენაზე 27  
წუთი დგას და ამ  
მოკლე პერიოდში  
ჩატეულია მთელი  
მისი ცხოვრება  
– არმანთან  
გატარებული  
ბედნიერი დღეები,  
კონფლიქტი,  
ავადმყოფობა და  
გარდაცვალება.  
ძალიან რთულია  
გაიმეორო,  
მიაღწიო ისეთ  
ურთიერთობას  
სცენაზე როგორც  
ფონტეინს და  
ნურიევს ჰქონდათ.  
საერთოდ,  
ვფიქრობდი, რომ  
უფრო კლასიკური  
სტილის ბალერინა

English National  
Ballet’s Elena  
Glurdjidze  
celebrated her visit  
to Tbilisi with a  
significant career  
event. She debuted  
as Marguerite in  
Frederick Ashton’s  
*Marguerite and  
Armand*.

The one-act ballet  
staged by Ashton  
for Margot Fonteyn  
and Rudolf Nureyev  
is celebrated as a  
historic production  
not everyone is  
permitted to dance.  
The decision on  
allowing ballerinas  
perform the role is  
taken with an eye  
on their renown  
and career.

**Elena Glurdjidze:**  
“This is a tricky  
ballet. Marguerite  
spends twenty-  
seven minutes  
on stage that  
encapsulate her life

from happy days  
with Armand to the  
conflict with him,  
the illness and the  
death. It is really  
difficult to achieve  
the onstage  
relationship  
Fonteyn and  
Nureyev had. I even  
thought I was more  
like a classical  
ballerina, but,  
having danced a  
Kylián work before  
arriving in Tbilisi,  
I realized it was  
not the case. I am  
really happy to  
have been granted  
the right to dance  
in *Marguerite  
and Armand*, the  
result of Nina  
Ananiashvili’s  
great support.”

The prima ballerina  
managed to create  
an entirely different  
character on stage.  
Her Marguerite  
was full of youthful  
liveliness and



ვარ, მაგრამ აქ ჩამოსვლამდე კილიანის ბალეტში ვიცეკვე პირველად და მივხვდი რომ ეს ასე არ არის. ძალიან მიხარია, რომ „მარგარიტა და არმანის“ ცეკვის უფლება მივიღე. ამაში ნინო ანანიავილი ძალიან დამეხმარა“.

პრიმა-ბალერინამ შეძლო სცენაზე სრულიად

განსხვავებული სახე შეექმნა. მისი მარგარიტა ბავშვური სილამით და უბრალოებით გამოირჩეოდა. მისი ყოველი უესტი და მოძრაობა ძალიან ბუნებრივი იყო.

გლურჯიძეს პარტნიორობას ივან პუტროვი უწევდა, უკრაინელი მოცეკვავე, რომელიც ინგლისის სამეფო ბალეტში გამოჩენიდან მესამე სეზონზე ამ პრესტიჟული

simplicity, with every gesture and movement very natural.

Glurdjidze was partnered by Ivan Putrov. The dancer from Ukraine – who became principal for The Royal Ballet three seasons after appearing at the company – is now pursuing solo and producer career.

**Ivan Putrov:** “Elena is an amazing ballerina. I can not describe the feeling you have when you are scheduled to perform *Marguerite and Armand* partnering such dancer. The dancers who have had the privilege of performing in the ballet can be counted on one hand. You ask why? It is not easy to convince Anthony Russell-Roberts – relative of Frederick Ashton and residuary legatee of the rights on his ballets – that every nuance of Ashton’s works will be performed like it should be. It looks like Nina Ananiashvili’s name and Elena’s international popularity played their role.”



დასის პრემიერი გახდა. პუტროვი ახლა სოლო კარიერას და საპროდიუსერო საქმიანობას ეწევა.

**ივან პუტროვი:** „ელენე საოცარი ბალერინაა. ვერ აგიწერთ რა გრძნობაა, როცა იცი რომ „მარგარიტა და არმანი“ უნდა იცეკვო და თან ასეთ მოცეკვავეს გაუწიო პარტნიორობა. ცხოვრებაში თითზე ჩამოსათვლელია ადამიანები, ვისაც გაუმართლა და ამ ბალეტში ცეკვის უფლება მიიღო. ისმის კითხვა რატომ? – დღეს ეშტონის ბალეტებზე უფლებას მისი ნათესავი – ენტონი რასელ რობერტსი ფლობს. ძნელია ის დაარწმუნო, რომ ყველა ნიუანსი ისე იქნება, როგორც ეს ეშტონს მოეწონებოდა. როგორც ჩანს ნინო ანანიავილის ავტორიტეტმა და ელენეს მსოფლიო პოპულარობამ თავისი როლი ითამაშა“.

ელენე გლურჯიძის შემოქმედებითი საღამო, რომელიც 28 აპრილს რუსთა-

ველის თეატრში გაიმართა, სამი განყოფილებისგან შედგებოდა. მაყურებელმა პრიმა-ბალერინა პირველად „რაიმონდას“ მესამე მოქმედებაში იხილა. ამ კლასიკური ბალეტიდან პა დე დე მან ერთი წლის წინ ნინო ანანიავილის სასცენო მოღვაწეობის 30 წლის იუბილეზე, თბილისში ივან პოლუნინთან ერთად, იცეკვა. საერთოდ, ელენეს ყოველი ჩამოსვლა თბილისში ძალიან საინტერესოა როგორც პროგრამის, ასევე შესრულებისა და პარტნიორების მხრივ.

შემოქმედებითი საღამოს მეორე განყოფილება საბალეტო დასის დივერტისმენტისგან იქნა შედგენილი, რომელშიც შესრულდა სხვადასხვა საბალეტო ნომრები, მათ შორის ფრედერიკ ეშტონის ქორეოგრაფიიდან.

ელენე გლურჯიძის შემოქმედებითი საღამო თბილისში ბრიტანეთის საბჭოს მხარდაჭერით გაიმართა.

Glurdjidze’s evening of art – presented at Rustaveli Theatre on April 28 – was presented in a three-act program. The audience saw the prime ballerina in act three of *Raymonda*. She had danced a pas de deux of the ballet – partnering Ivan Polunin – in Tbilisi for the celebration of Nina Ananiashvili’s 30 years on stage. Elena’s every arrival in Tbilisi proves interesting in terms of programs, performance and partners.

The second act of the evening comprised of divertissements of the Tbilisi Opera and Ballet Theatre company, featuring ballet pieces including some from the Ashton choreography.

Glurdjidze’s evening of art was organized with support by the British Council in Tbilisi.

ელენე გლურჯიძე, ივან პუტროვი.  
„მარგარიტა და არმანი“  
Elena Glurdjidze, Ivan Putrov  
in *Marguerite and Armand*





Photo by Eric Antoniou

# იორმა ელო: აქ ჩამოსვლას ინტერესით ველოდი

**თქვენ ბალეტებს მეტად პრესტიჟული დასახელებისთვის დგამთ. რამ გადაგაწყვეტინათ საქართველოს სახელმწიფო ბალეტთან მუშაობა?**

ჰელსინკში, საერთაშორისო საბალეტო კონკურსზე, ნინო ანანიაშვილს შევხვდი, რომელმაც აქ სამუშაოდ მომიწვია. სწორედ ასე დაიწყო ეს თანამშრომლობა, თუმცა დასზე მანამდეც არა ერთი დადებითი გამოხმაურება მსმენოდა, ასე რომ აქ ჩამოსვლას ინტერესით ველოდი.

**პრემიერის წინ ქორეოგრაფს იორმა ელოს და დამდგმელ ბალეტმანისტიმ ქრისტოფერ დოზს „არაბესკისთვის“ გვანცა ბადურაშვილი ესაუბრა:**

**GVANTSA BADURASHVILI SPOKE TO CHOREOGRAPHER JORMA ELO AND STAGING BALLET MASTER CHRISTOPHE DOZZI AHEAD OF THE 1<sup>ST</sup> FLASH PREMIERE FOR ARABESQUE:**

იორმა ელოს მიწვევაზე მსოფლიოს სხვადასხვა საბალეტო კომპანიაში დიდი მოთხოვნაა. ფინეთში დაბადებული ელო, რომელიც დღეს ბოსტონ ბალეტის მიწვეული ქორეოგრაფია, „ნიუ იორკ თაიმსის“ მიმომხილველმა ანა კისელგოფმა შეაფასა, როგორც „ტალანტი, რომელსაც უნდა დააკვირდეთ“. მისი ბალეტები მსოფლიოს ისეთი დასების რეპერტუარშია, როგორცაა ამერიკის ბალეტის თეატრი, სან ფრანცისკო, ნიუ იორკ სითი ბალეტი, დანიისა და ფლანდრიის სამეფო ბალეტი, ვენის სახელმწიფო ოპერის ბალეტი, შტუტგარტ ბალეტი, ფინეთის ნაციონალური ბალეტი, ჩიკაგოს ჰუმბარდ სტრეიტის დასი, ბაზელის ბალეტი და ნორვეგიის ნაციონალური ბალეტი.

სეზონის ბოლოს თბილისში კიდევ ერთი საბალეტო პრემიერა შედგება - დასი იორმა ელოს ერთმოქმედებიან ბალეტს „First Flash“-ს შესთავაზებს მაყურებელს. ამ მიზნით ქორეოგრაფი თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასს მისის დასაწყისში ეწვია. ჩვენი ინტერვიუც მაშინ შედგა:

**„First Flash“ ჰოლანდიის ნაციონალური ბალეტისთვის დადგით. როგორც წესი, დადგმებისთვის სხვადასხვა კლასიკოსი კომპოზიტორის მუსიკას იყენებთ. რატომ გადაწყვიტეთ, ეს ნაშრომი სიბელიუსის სავიოლინო კონცერტზე შეგექმნათ?**

ეს ბალეტი ჩემი ერთ-ერთი პირველი ნაშრომი იყო მას შემდეგ, რაც ქორეოგრაფიას მივყავი ხელი და მსურდა, მისთვის ფინური წარმომავლობის კომპოზიტორის მუსიკა გამომეყენებინა. არჩევანი იმანაც განაპირობა, რომ ამ მუსიკალურ ნაშრომში გამოყენებული ვიოლინოს პარტიის ემოციურობა მომეწონა.

**ამ ბალეტს სცენარი არ გააჩნია — თქვენ აზრები მოცეკვავეების მოძრაობით გადმოვიცით. შეგიძლიათ გვითხრათ, რისი ჩვენება და თქმა გსურდათ?**

ვფიქრობ, ეს ნაშრომი ცეკვისა და მოცეკვავეების ზეიმი, იმის ჩვენება, როგორ იღებენ ისინი სიამოვნებას საკუთარი სივრცით და აჩვენებენ, რისი გაკეთება შეუძლიათ. ისინი, როგორც სოლისტები და პიროვნებები, ასევე მუსიკასთან კავშირს და მის შეგრძნებას გადმოსცემენ.

**ამჟამად სად მუშაობთ და რა სამომავლო გეგმები გაქვთ?**

ბოსტონის საბალეტო დასის მიწვეული ქორეოგრაფი ვარ, თუმცა მსოფლიოს გარშემო ვმუშაობ. თბილისის შემდეგ ტორონტოში მივემგზავრები, რათა კანადის ნაციონალურ ბალეტთან ვითანამშრომლო. ასევე დაგეგმილი მაქვს ახალი ბალეტის დადგმა ჰოლანდიის ნაციონალური ბალეტისთვის მომავალ სეზონში და მუშაობა კანადის ქალაქ ვანკუვერში. თბილისში კი ვენიდან ჩამოვედი, სადაც „ზაფხულის ღამის სიზმრის“ სრული დადგმა განვახორციელებ. ასეთია ჩემი სამყარო, რომელშიც ვმოგზაურობ და მშენიერ მოცეკვავეებს ვხვდები.

**თქვენი მიმდინარე წლის გეგმები მეტად დატვირთული ჩანს.**

ნამდვილად ასეა, თუმცა მოცეკვავეებთან ერთად მუშაობა ძალიან მიყვარს.

# Jorma Elo: I looked forward to coming here

Jorma Elo is in demand by ballet companies. Born in Finland and currently working as resident choreographer for Boston Ballet, Elo was referred to by New York Times critic Anna Kisselgoff as a “talent to follow.” His ballets are found in repertoires of companies like American Ballet Theatre, San Francisco Ballet, New York City Ballet, Royal Danish Ballet, Royal Ballet Flanders, Vienna State Opera company, Stuttgart Ballet, Finnish National Ballet, Hubbard Street Dance Chicago, Ballet Basel and Norwegian National Ballet.

In what is scheduled to be the one remaining premiere before State Ballet of Georgia’s season concludes, the company will present *First Flash* by Elo to audience. The choreographer visited Tbilisi in the beginning of May to begin working with the company and we took the opportunity to interview him:

**You usually stage ballets for very prestigious companies. What was behind your decision to stage for State Ballet of Georgia?**

I met Nina Ananiashvili at the International Ballet Competition in Helsinki, Finland. She invited me for working here and that was the start of it. But I had heard about the company before with very positive stories, so I was looking forward to come here.

**You staged *First Flash* for Dutch National Ballet. You usually stage works on scores by various composers. Why did you choose Sibelius Violin Concerto this time?**

I chose the piece because it was one of the first ballets I created when I started to choreograph and I wanted to base it on music from a composer who had Finnish roots like me. I also liked the intensity of the violin in the piece.

**The ballet does not have any kind of synopsis and you just expressed your thoughts via motion. Could you briefly tell us what you wanted to show and tell with the piece?**

I think it is really a celebration of dance and dancers enjoying their own space and wanting to show the best of them. And also connecting to the music and showing how they feel the music as soloists and individuals.

**Where do you work for the moment, and what are your future plans?**

I am Resident Choreographer with Boston Ballet, but I work all over the world. I am going to the National Ballet of Canada in Toronto next week right after this. I will also be creating a new work for the Dutch National Ballet next season and will also be working in Vancouver, Canada. I also just came from Vienna where I did a full evening *Midsummer Night’s Dream* production. That is my world. I travel around and see beautiful dancers.

**This seems to be a very busy year for you.**

It is, but I love to work and be involved with dancers.

რეპეტიციამდე ნენსი ეუვერინკთან ერთად თბილისში  
On rehearsal with Nancy Euverink in Tbilisi



# ქრისტოფ დოზი: ამ ბალეტში ვუკავშირდებით მუსიკას და ემოციებს

ქრისტოფ დოზს იორმა ელოსთან თანამშრომლობის საკმაო გამოცდილება აქვს. ის იმ ექვს მოცეკვავს შორის იყო, ვინც ქორეოგრაფმა „1st Flash“-ის დადგმის დროს აირჩია. ქრისტოფ დოზი თბილისში, საბალეტო დასთან, ორი კვირის განმავლობაში მუშაობდა და პრემიერის წინ „არაბესკის“ კითხვებს უპასუხა:

**ამ ბალეტში თქვენ ცეკვავდით ერთ-ერთ მთავარ პარტიას. პერსონაჟებსაც სახელები იმის მიხედვით ქვიათ, ვისზეც ის ქორეოგრაფმა დადგა?**

დიახ, ამ როლებს – როგორც ჩვენ მათ ვუწოდებთ – სახელები იმ მოცეკვავეთა მიხედვით დაერქვა, რომლებზეც ბალეტია დადგმული.

**იქნებ გაიხსენოთ დადგმის პროცესი, რა იყო ის მთავარი გამოწვევები რასაც იორმა ელო მოცეკვავებებს წინაშე აყენებდა?**

ფიზიკურად ბევრი გამოწვევა იყო, თუმცა ალბათ მუსიკალობა და მუსიკასთან ემოციური კავშირის დამყარება იყო მთავარი, რადგან სიბელიუსის მუსიკა ემოციურად საესვია.

იორმას ამ კონცერტში ძალიან მოსწონს ვილინოს პარტია და მუდმივად გვიზიარებდა მის ფიქრებს მევილინეს შესრულებაზე, რადგან იმის მიუხედავად, რომ მუსიკოსმა მისი შესრულება რეპეტიციებით უკიდურესად დახვეწილი გახადა, ის მაინც ისე ისმის, თითქოს პირველად სრულდება. ამ შესრულებამ შთაგვაგონა, ჩვენც იგივე გავგეკეთებინა ჩვენს ცეკვაში. ვისწავლეთ მოძრაობები და გავიარეთ რეპეტიციები მის სრულყოფილებამდე. თუმცა, კვლავაც ისეთი მიდგომით ვცეკვავთ, თითქოს ამ ნაბიჯებს პირველად ვასრულებთ. ეს სიახლის შეგრძნებას იძლევა.

**ეს პირველი შეხვედრა იყო იორმა ელოს ქორეოგრაფიასთან თუ ადრეც გიმუშავიათ მასთან?**

ეს პირველი შემთხვევა იყო, როდესაც მასთან, როგორც ქორეოგრაფთან ვიმუშავე, თუმცა ადრე ჩვენ ერთად ვმუშაობდით, როგორც ერთი დასის მოცეკვავეები.

**თქვენ გიცეკვიათ ბალანჩინი, კილიანი, ფორსაიტი, მატს ეკი, სხვა თანამედროვე ქორეოგრაფების ბალეტები. რა არის ის მთავარი რაც გამოარჩევს იორმა ელოს ქორეოგრაფიას? რით არის საინტერესო იგი როგორც თანამედროვე ქორეოგრაფი?**

რთული სათქმელია, რა გამოარჩევს მას, თუმცა სანამ განსხვავებებზე გადავალთ, მსურს აღვნიშნო, რომ კილიანთან, ფორსაიტთან და მატს ეკთან იორმასაც უმუშავია და უფრო მეტადაც კი, ვიდრე მე ან სხვა მოცეკვავეებს რომელმაც მან ეს ბალეტი დადგა. აქედან გამომდინარე, მისი ნაშრომები იორმას, როგორც მოცეკვავის გამოცდილების შედეგია. ამ ქორეოგრაფების შემოქმედებიდან ბევრ რაიმეს იპოვით იორმას ნაშრომებში, რომლებიც, ამასთან ერთად, მყარადაა გაჯერებული საბალეტო ტექნიკით.

არ ვიცი, რა გამოარჩევს მას სხვებისგან, თუმცა ის, რასაც მე მასთან განსაკუთრებულად და საინტერესოდ აღვიქვამ

არის მისი ახლებური მიდგომა ცეკვისა და ქორეოგრაფიის მიმართ, რომელიც ალბათ ნახსენებ ქორეოგრაფებზე მეტად ინტუიტიურია. ის ნაკლებად მომთხოვნია კონკრეტული ნაბიჯების და მოძრაობის ზედმიწევნით შესრულებასთან დაკავშირებით. ის სპონტანურად აჩვენებს, რისი შესრულებაა საჭირო, თუმცა მოცეკვავეს უტოვებს სივრცეს ინტერპრეტაციისთვის. რა თქმა უნდა, სხვადასხვა დასში მუშაობის პირობებში ის ხვდება მოცეკვავეებს, რომლებიც ასეთ თავისუფლებას ვერ ბედავენ. ნიდერლანდების ცეკვის თეატრში დადგმულ „1st Flash“-ში მონაწილე ექვსი მოცეკვავის შესრულებაში შეიძლება დაინახო როგორც იორმას სტილი, ისე ამ მოცეკვავეების ინტერპრეტაცია. მაგალითად, თუკი პარისის – რომელიც მეტად განსაკუთრებული მოცეკვავა – ცეკვას ავიღებთ, შემიძლია მისი სახელით ვთქვა, რომ ამ ცეკვაში არის ორმოცდაათი პროცენტი იორმასგან და ორმოცდაათი თვით პარისისგან. იგივე შეეხება მედის და ლუკასის შესრულებას. ამ მხრივ იორმასთან მუშაობა განსხვავებულია, რადგან მოცეკვავეებს მეტი სივრცე აქვთ. ეს მეტად ახლებური შეგრძნებაა, ასეთი მიდგომა კი მოცეკვავეების ნდობას ნიშნავს. ამის შედეგი, განსაკუთრებით „1st Flash“-ში, მეტად საინტერესოა, რადგან ექვს სხვადასხვა შესრულებას ვხედავთ, იმის მიუხედავად, რომ ისინი ერთი ქორეოგრაფის დადგმულია.

კიდევ ერთი, რაც იორმას მუშაობაში მომწონს, სიამოვნებაა – ცეკვისგან მიღებული უბრალო სიამოვნება, რომელიც მას მაყურებლისთვის ადვილად გასაგებს ხდის. თუკი უფრო „ელიტარული“ მაყურებელი ხართ, ნაშრომი დახვეწილ სახეს და სირთულეს ვთავაზობთ, თუმცა ამავე დროს ის პირდაპირი, ინტუიტიური და მეტად ემოციურია. იმის მიუხედავად, რომ ეს აბსტრაქტული ბალეტია, რომელშიც არც გმირებს ვთამაშობთ და არც სცენარი გვაქვს, ჩვენ მუდმივად ვუკავშირდებით მუსიკას და ემოციებს. ამის გამო იორმასთან მუშაობა მეტად სასიამოვნოა.

**მის ბალეტებს თქვენ ბევრ კომპანიაში დგამთ. ქართულ დასთან მუშაობამ რამდენად დაგაინტერესათ?**

ქართულ დასთან მუშაობა ნამდვილად მომწონს. ამ დადგმისთვის ჩემთვის ჩვეულზე ნაკლები დრო გვაქვს. თუმცა მუშაობა ძალიან კარგად მიდის, რადგან ეს მოცეკვავეები არიან მეგობრულები, ნიჭიერები და დროის სიმცირისგან გამომდინარე ვამჩნევ, რომ სწრაფად ათვისების უნარიც აქვთ. მათ ყველაფერი გააჩნიათ, რაც „1st Flash“-ისთვის არის საჭირო. აშკარაა, რომ ეს დასი დიდწილად „სუფთა ბალეტს“ ცეკვავს, თუმცა რთულ ნაბიჯებზე მუშაობისას ვამჩნევ, რომ ისინი ამას პირველად არ აკეთებენ. აქვთ ძლიერი საბალეტო ტექნიკა, თუმცა მიჩვეულნი არიან მის სხვაგვარ გამოყენებას, რაც სწორედ ისაა, რაც ამ ბალეტშია საჭირო. მათთან მუშაობა მეტად იოლია. ასევე მომწონს ქართული ამინდი, სუფრა და ღვინო!

# Christophe Dozzi: We connect to music and emotion in this piece

Christophe Dozzi has significant experience of working with Jorma Elo. He was among the six dancers 1st Flash was staged on. Dozzi worked with Tbilisi Opera and Ballet Theatre company for two weeks in Tbilisi and answered questions by Arabesque ahead of the premiere of the piece.

**You have danced one of the principal roles in this ballet. Are characters named after those the choreographer staged it about?**

Yes, the parts – as we call them – are named after dancers the work was created on.

**Could you recall the staging process and the main challenges Jorma Elo offered the dancers?**

There were many challenges physically, but I think musicality and connecting emotionally to the music were the biggest of them, because the Sibelius' music is very emotionally charged.

Jorma also likes the violin part and he kept on telling us how he felt about the violin performance, because, even though the violinist had been rehearsing this piece to the highest degree, it still feels like she is playing it for the first time. And the performance was encouraging us to do the same with our dancing. We learned steps and rehearsed to the point where we mastered them, but still approached it as if we were doing these steps for the first time, so it has a feeling of novelty.

**Was this your first encounter with Jorma Elo's choreography or had you worked with him before?**

It was the first time I worked with him as choreographer, but we had worked together as dancers when we were colleagues in the same company.

**You have danced ballets by Balanchine, Kylián, Forsythe, Mats Ek and other contemporary choreographers. What makes Jorma Elo's choreography different? Why is he interesting as contemporary choreographer?**

It is hard to say in words what makes him different, but before we go into the differences one has to say that Jorma also worked with Kylián, Forsythe and Mats Ek, even more than me and the dancers he created the piece on. So his work is very much the result of his background as a dancer. Much from these choreographers' work is found within Jorma's. His work is also very much rooted into ballet technique.

I do not know what makes him different from the others, but what I find special and interesting about him is that he has a very fresh approach to dancing and choreographing and is very intuitive, maybe more than the other choreographers mentioned. He is maybe a bit less insistent about having steps or movements exactly how he wants them. He is very spontaneous about showing something, but there is room for dancers to have their own interpretation. Of course, now that he works in various ballet companies, maybe some dancers do not dare to take this freedom, but in 1st Flash, created at Nederlands Dans Theater, you can see in the six dancers' performances the pieces by both Jorma and these dancers. For example, with Paris – who is a very special dancer – I can say on her part that it is fifty per cent Jorma and fifty per cent Paris. And it is the same with Medi and Lucas. In this sense it is a bit different because dancers have more space with him. It is very refreshing and means giving trust to dancers. The result, especially in 1st Flash, is very interesting because it features six very different parts even though it is the same choreographer.

Another thing I like about Jorma's work is related to joy, the simple joy of dancing, which makes it very accessible for the audience. If you are more like an elite kind of audience, the piece for you has a lot of refinement and complexity, but at the same time it is very direct, very intuitive and very emotional. Even though it is an abstract piece, we are not characters and there is not really a story, we are constantly relating to the music and emotions. For that reason it is very nice to work with Jorma.

**You stage ballets by Jorma Elo in many troupes. How interesting was it to work with the Georgian company?**

I really like working with the Georgian company. The time we have for staging is a bit shorter than what I usually get, but the work is really nice because the dancers are friendly, they are talented, and because of the shorter time I can see they are fast to learn and have exactly what it takes to do 1st Flash. Clearly this company still does a lot of "pure ballet", but I can see when I teach these complex steps that this is not the first time they do this kind of work. They have strong ballet technique, but they are used to using it in a different way. That is exactly what one needs for this piece. It is actually very easy to work with them. The weather here is also nice, as is food and wine!



იანვარში პ. ჩაიკოვსკის „მაცნატუნაში“ პირველი გამოსვლა ჰქონდათ: ნინო სამადაშვილს, ნუცა ჩეკურაშვილს (ფერია დრაჟე) რიო კატოს, ერიკ ბუროუს (პრინცი).

In January Pyotr Tchaikovsky's *The Nutcracker* show featured debuts for dancers Nino Samadashvili and Nutsa Chekurashvili (Sugar Plum Fairy), Ryo Kato and Eric Burrough (Prince).

16 და 17 თებერვალს გრიბოედოვის თეატრში ჯორჯ ბალანჩინის ბალეტები იქნა წარმოდგენილი. „სერენადაში“ ნუცა ჩეკურაშვილი და ნინო სამადაშვილი პირველად იცეკვეს წამყვანი პარტიები. პროგრამაში „აპოლონ მუსაგეტიდან“ მხოლოდ პა დე დე იქნა წარმოდგენილი, სადაც პირველი გამოსვლა ჰქონდათ ეკა სურმავას (ტერფსიქორა) და ერიკ ბუროუს (აპოლონი). „ბუგაკუში“ ნინო გოგუას პირველად გაუწია პარტნიორობა დავით ანანელმა.

February 16 and 17 featured George Balanchine ballets at the Aleksander Griboyedov Theatre. The principal roles in *Serenade* were danced for the first time by Nutsa Chekurashvili and Nino Samadashvili. The program also included a pas de deux from *Apollo*, where Eka Surmava (Terpsichore) and Eric Burrough (Apollo) had their maiden performances. Nino Gogua was partnered for the first time by David Ananeli in *Bugaku*.



ნინო გოგუა, დავით ანანელი. „ბუგაკუ“  
Nino Gogua, David Ananeli in *Bugaku*

9 თებერვალს მარიამ ალექსიძის ერთმოქმედებიან ბალეტში „ქუჩა“ ნარცისის როლი პირველად იცეკვა ოთარ ხელაშვილმა.

Otar Khelashvili debuted as Narcissus in February 9 show of one-act ballet *The Street* by Mariam Aleksidze.



ეკა მახატაშვილი, დავით ანანელი, ეკა სურმავა. „შოპენიანა“  
Eka Makhatchashvili, David Ananeli, Eka Surmava in *Chopiniana*

16 მარტს „შოპენიანაში“ პირველი გამოსვლა ჰქონდათ ეკა სურმავას და დავით ანანელს, „საგალობელში“ სოლო პარტიები პირველად იცეკვეს ნინო სამადაშვილი და ნუცა ჩეკურაშვილი, ერიკ ბუროუმ.

The March 16 performance of *Chopiniana* featured debuts for Eka Surmava and David Ananeli, while solo roles in *Sagalobeli* were danced for the first time by Nino Samadashvili, Nutsa Chekurashvili and Eric Burrough.

3 მარტს „რაიმონდაში“ ვარიაციები პირველად იცეკვეს გვანცა გავაშელიშვილი და ოთარ ხელაშვილი.


The March 3 *Raymonda* variations featured debut performances by Gvantsa Gavashelishvili and Otar Khelashvili.



ოდეტა – ეკა სურმავა. „გედების ტბა“  
Eka Surmava as Odette in *Swan Lake*

31 მარტს „გედების ტბაში“ ოდეტას პარტია ეკა სურმავამ თბილისში პირველად იცეკვა. მისი დებიუტი ამ როლში იაპონიაში 2012 წელს საბალეტო დასის გასტროლის დროს შედგა. ამავე სპექტაკლში ოდილიას პარტია პირველად იცეკვა ნინო სამადაშვილი. ბალერინებს პარტნიორობას ერიკ ბუროუ უწევდა, რომელსაც პრინცის როლში დებიუტი ჰქონდა. ამავე სპექტაკლში ესპანური ცეკვა პირველად იცეკვა დასის სოლისტმა რიო კატომ.

The March 31 show of *Swan Lake* saw Eka Surmava's maiden Tbilisi performance as Odette. Her debut in the role took place during the 2012 tour of Japan of the company. The March 31 performance also saw the first appearance of Nino Samadashvili as Odille. Both ballerinas were partnered by Eric Burrough, debuting as Prince Siegfried. The show also featured the maiden performance of company soloist Ryo Kato in the Spanish Dance.



ოდელია – ნინო სამადაშვილი, პრინცი – ერიკ ბუროუ. „გედების ტბა“  
Nino Samadashvili as Odille, Eric Burrough as Prince in *Swan Lake*



28 აპრილს ინგლისის ნაციონალური ბალეტის პრიმა-ბალერინა ელენე გლურჯიძის შემოქმედებით სალამოზე, რუსთაველის თეატრში, საკონცერტო განყოფილებაში ნინო მათიაშვილმა და მამუკა კიკალიშვილმა ქართველი მაცურებლის წინაშე პირველად იცეკვეს პა დე დე ბალეტიდან „არლეკინადა“. პა დე დე მოცეკვავეებმა დონეცკის საბალეტო ფესტივალისთვის მოამზადეს.

During the concert part of English National Ballet Lead Principal Elena Glurdjidze's evening of art at Rustaveli Theatre on April 28, Nino Matiashvili and Mamuka Kikalishvili danced the *Harlequinade* pas de deux for the first time for Georgian audience in the concert program. The dancers prepared the piece for Donetsk Ballet Festival in Ukraine.



ნინო მათიაშვილი, მამუკა კიკალიშვილი. „არლეკინადა“  
Nino Matiashvili, Mamuka Kikalishvili in *Harlequinade*



ნინო მათიაშვილი, გიორგი მშვენერაძე „ყვავილების ფესტივალი ჯენცანოში“  
Nino Matiashvili, Giorgi Mshvenieradze in *Flower Festival in Genzano*

11 და 12 მაისს გაიმართა ავგუსტ ბურნონვილის ქორეოგრაფიის სალამო. პროგრამაში წარმოდგენილი იყო ერთმოქმედებიანი ბალეტი „კონსერვატორია“, პა დე დე ბალეტიდან „ყვავილების ფესტივალი ჯენცანოში“ და ბალეტი „ციმბირიდან მოსკოვამდე“ (სიუიტა). დასის სოლისტს ერიკ ბუროუს რამდენიმე როლის შესრულება პირველად მოუხდა: პედაგოგი „კონსერვატორიაში“ და ყიფიანი ბალეტში „ციმბირიდან მოსკოვამდე“, სადაც ნინო გოგუას და ნინო მათიაშვილს (მას ასევე პირველი გამოსვლა ჰქონდა ნატაშას როლში) უწევდა პარტნიორობას. პირველი გამოსვლა ჰქონდათ ნინო მათიაშვილს და გიორგი მშვენერაძეს პა დე დეში ბალეტიდან „ყვავილების ფესტივალი ჯენცანოში“.

May 11 and 12 were dates of August Bournonville Choreography Evening, with one-act ballet *Le Conservatoire*, pas de deux from *Flower Festival in Genzano* and the From Siberia to Moscow suite included in the program. Company soloist Eric Burrough danced The Teacher in *Le Conservatoire* and Kipiani in *From Siberia to Moscow*, partnering Nino Gogua and Nino Matiashvili (who also had her first performance as Natasha) in the latter. Matiashvili and Giorgi Mshvenieradze had their maiden performances in pas de deux of *Flower Festival in Genzano*.

25 მაისს აადანის „ჟიზელი“ პირველად იცეკვეს: პრინცი ალბერის პარტია — ერიკ ბუროუმ, მირტას პარტია — ნინო სამადაშვილმა

The May 25 evening of *Giselle* by Adolphe Adam featured debuts for Eric Burrough as Prince Albrecht and Nino Samadashvili as Myrtha



მირტა — ნინო სამადაშვილი. „ჟიზელი“  
Nino Samadashvili as Myrtha in *Giselle*

27 თებერვალს ვახტანგ ჭაბუკიანს დაბადებიდან 103 წელი შეუსრულდა. ამ დღეს ქართული ბალეტის მეგობართა საზოგადოების მხარდაჭერით, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრმა ვახტანგ ჭაბუკიანის კოლეგები, მეგობრები, მისი შემოქმედების თავყვანისმცემლები სასტუმრო „რედისონის“ წვეულებათა დარბაზში – ფოტო-ალბომის „ვახტანგ ჭაბუკიანი“ (შემდგენელ-რედაქტორი ილია თავბერიძე, დიზაინერი ბესიკ დაბელია) პრეზენტაციაზე მიიწვია.

წიგნი-ალბომის გამოცემა იუნესკოს მხარდაჭერით ვახტანგ ჭაბუკიანის 100 წლის საიუბილეოდ განხორციელდა.

წიგნში თავი მოიყარა საინტერესო ფოტოებმა, დოკუმენტურმა მასალამ რომელიც კიდევ ერთხელ წარმოაჩინეს ვახტანგ ჭაბუკიანს, როგორც უდიდეს მოვ-

ციისათვის ალბომი მსოფლიოს ყველა დიდ საბალეტო კომპანიას, თეატრს და ბიბლიოთეკას დაეგზავნება, რაშიც თეატრს დიდ დახმარებას გაუწევს იუნესკოს კომისია საქართველოში.

ძე, იუნესკოს საქმეთა კომისიის გენერალური მდივანი საქართველოში ქეთევან

ლენას მეოცე საუკუნის საბალეტო სამყაროში. მისი სახელის უკვდავყოფისა და უფრო მეტად პოპულარიზა-

წიგნის პრეზენტაციაზე გამოვიდნენ თეატრის მმართველი გიორგი ჟორდანიას, საბალეტო დასის სამხატვრო ხელმძღვანელი ნინო ანანიაშვილი, წიგნის ავტორი ილია თავბერი-

კანდელაკი, ქართული ბალეტის მეგობართა საზოგადოების ერთ-ერთი ხელმძღვანელი სარა ვილიამსონი.

წიგნში დაბეჭდილია ვახტანგ ჭაბუკიანის სახლ-მუზეუმის, თეატრის, კინოს, მუსიკისა და ქორეოგრაფიის მუზეუმის, ოპერის თეატრის მუზეუმის ფოტოები, ასევე მასალები კერძო პირების პირადი კოლექციებიდან.



February 28 marked 103 years since the birth of Vakhtang

Chabukiani. With the

art to a presentation of book album Vakhtang Chabukiani (compiled and edited by Iliia Tavberidze, designed by Besik Danelia) at the Radisson Blu Hotel Events Room.

documentary material that again shows Vakhtang Chabukiani as an enormous phenomenon of the twentieth century ballet. With the support of the UNESCO National Commis-

The presentation featured speeches by Tbilisi Opera and Ballet Theatre Manager Giorgi Jordania, ballet company Artistic Manager Nina Ananiashvili, book author Iliia Tavberidze, UNESCO National Commission Secretary General Ketevan Kandelaki and one

The photographic material featured in the book was printed from archives of Vakhtang Chabukiani Museum, the Museum of Theatre, Cinema, Music and Choreography, Opera and Ballet Theatre Museum, as well as private collections.

და და სიამაყება თანამედროვე საზოგადოებაში...  
ცხადის განვითარებით, მან ახალი  
1934 წელს, როცა იგი ამერიკის  
ის ებოლო. 1951 წელს თბილისში  
„ბალეტის რაინდი“ ეწოდა.  
ჩემმა მხატვრობა-ასეთივეა  
ქვეყნის, არტისტული  
ქორმა და საცემადო  
ებების შთაბრძნება შექმნილების  
დროშეთათვის.

სერგ ლიფარი

age in the  
culture,  
in 1934. Later as  
nted I dubbed  
manifestation  
re, classic  
ng artistic

the Lifar

m



support of Friends of the Georgian Ballet, Tbilisi Opera and Ballet Theatre invited Chabukiani's former colleagues and friends, as well as fans of his

The album was published with the support of UNESCO to mark the 100 years anniversary of Chabukiani's birth.

The book includes many interesting photographs,

sion in Georgia, the album is set to be sent to all influential ballet companies, theatres and libraries for promoting Chabukiani's name.

of the managers of Friends of the Georgian Ballet Sarah Williamson.

ახალი პროექტი

New projet

# „შინ“-ის


„არაჩვეულებრივი გამოფენა“

Extraordinary Exhibition by

# The Shins

მარიკა შალიკაშვილი

Marika Shalikhvili





წლების შემდეგ შინ დაბრუნება „შინმა“ საკმაოდ ხმაურიანად გადაწყვიტა. ჯგუფის ისტორიაში ახალი ეტაპის დადგომა „არაჩვეულებრივმა გამოფენამ“ განაპირობა. დიდი მუსიკალური პორტრეტების სერია, როგორც პროექტის სათაურიდანაც ჩანს, დასაბამს გია ყანჩელის მუსიკალური თემებიდან იღებს. თუმცა რადგან „შინის“ შემოქმედებითი ხელწერა სინთეზისა და ინოვაციის ძიებაა, მაყურებელს ქართული ჰანგების მასპინძლობით, ევროპული კლასიკის, ჯაზისა და მსოფლიო ეთნოსის მუსიკალური სინთეზი შესთავაზეს.

„არაჩვეულებრივი გამოფენა“ შეიძლება ინტერნაციონალურ პროექტადაც ჩაითვალოს, რადგან ჯგუფმა, სიმფონიურ ორკესტრთან და კონსერვატორიის ვოკალურ სექსტეტთან ერთად, მასში ბულგარელი, მაკედონელი, თურქი და არგენტინელი მუსიკოსებიც ჩართო. ყანჩელის მოტივების არანჟირებაზე ცნობილმა თურქმა მუსიკოსმა ილიას მირზაევმა იმუშავა. ასე დაიბადა „არაჩვეულებრივი გამოფენის“, „მეთორმეტე ლამის“, „კავკასიური ცარცის წრის“ და ყანჩელის სხვა კინო და თეატრალური მუსიკის შინისეული ჟღერადობა.


ამ პროექტის კიდევ ერთი საინტერესო დეტალი მასში საბალეტო დასის მონაწილეობა იყო. ასეთი ექსპერიმენტი ბალეტის მოცეკვავეებისთვისაც საინტერესო აღმოჩნდა. საბალეტო მინიატურები „შინ“-ის კომპოზიციებზე საშა ევთიმოვამ დადგა, რომელიც საბალეტო დასს და მის შესაძლებლობებს კარგად იცნობს. ბალეტის ექვსი მოცეკვავე – კატო ლომინაძე, მაია ილურიძე, გვანცა გავაშელიშვილი, გიორგი ბერიძე, მორის მესხია, ნიკა ჯაიანი ოთხ კომპოზიციაში – „საბრალდება

The Shins, returning to their home after years, decided to mark the occasion with much grandeur. Extraordinary Exhibition heralds a new stage in the history of the band. The series of big musical portraits takes the roots in musical themes of Gia Kancheli, like the title indicates. But as the creative marquee of the band is in synthesis and innovation, they have decided to present a fusion of European classical, jazz and international ethnic music with the heralding of Georgian melodies.

Extraordinary Exhibition could be considered an international project, as The Shins invited Bulgarian, Macedonian, Turkish and Argentinian musicians to participate alongside the symphony orchestra and vocal sextet of the conservatory. The musical motives were arranged by popular Turkish musician Ilyas Mirzayev. This is how The Shins type of Kancheli’s cinema and theatrical music from Extraordinary Exhibition, Twelfth Night, The Caucasian Chalk Circle and more was born.

Another interesting detail of the project is the participation of Tbilisi Opera and Ballet Theatre Ballet Company. The experiment proved engaging for the dancers as well. The staging of ballet miniatures on musical pieces by The Shins was a task awarded to Sasha Evtimova, who is well aware of the company and its abilities. Six dancers – Kato Lominadze, Maia Iluridze, Gvantsa Gavashelishvili, Giorgi Beridze, Moris Meskhia and Nika Jaiani participated in four compositions titled *The Crucible*, *Is aq aris* (Waltz of the Eccentric), Raj Kapoor’s *Khachapuri* and *Meeting*.

**NINA ANANIASHVILI – Artistic Director of the ballet company:** “It was an interesting proposition. For some



დასკვნა“, „ის აქ არის“ (შერეკილების ვალსი), „რაჯ კაპურის საჭაპური“ და „შეხვედრა მიტინგზე“ – მონაწილეობდნენ.

**ნინო ანანიავაძე, საბალეტო დასის სამხატვრო ხელმძღვანელი:** „საინტერესო წინადადება იყო. ჩვენი იდეები დაემთხვა. თვითონ ვაპირებდით „შინისთვის“ შეგვეთავაზებინა თანამშრომლობა. ამ დროს მათგან მივიღეთ წინადადება. დრო საკმარისად ცოტა იყო ამ ქორეოგრაფიის მოსამზადებლად. მე ვფიქრობ საინტერესო პროექტი გამოვიდა. ალბათ, საქართველოსთვის ძალიან ორიგინალური და უცნაური. ეს სამუშაო ახალგაზრდა ქორეოგრაფმა საშა ევტიმოვამ შეასრულა, რომელიც ერთი წელია ჩვენთან თანამშრომლობს და ძალიან წარმატებულად. სემონის ბოლოს გვინდა ჩვენს მაყურებელს შევთავაზოთ სხვა ქორეოგრაფიული მინიატურები „შინ“-ის მუსიკაზე“.

სიმბოლურია, ისიც, რომ ჯგუფს სურდა ყანჩელის მუსიკის შინისეული შესრულების ნაწილი სწორედ ჯანსუღ კახიძის სახელობის სიმფონიური ორკესტრი ყოფილიყო.

**ვახტანგ კახიძე, დირიჟორი, თბილისის სიმფონიური ორკესტრის სამხატვრო ხელმძღვანელი:** „მე ამა

reason our plans coincided – we ourselves wanted to approach The Shins with cooperation when we received their proposition. There was quite a short space of time for preparing the choreography. I think the project will prove to be interesting, and probably very original and strange for Georgia. The work was done by young choreographer Sasha Evtimova, who has been working with us for a year with much success. We also want to present to our audience other choreographic miniatures based on music by The Shins near the conclusion of our season.“

It is also symbolic that the band wished to see the Jansugh Kakhidze Symphony Orchestra perform their version of the Kancheli music.

**VAKHTANG KAKHIDZE – Conductor, Artistic Director of Tbilisi Symphony Orchestra:** “I would not say this is a project based on Kancheli music. His music was possibly an inspiration in the beginning, as most of the pieces begin with his cinema music, but what happens afterwards is a combination of Chick Corea, Michael Stern, Miles Davies, Joaquín Rodrigo guitar concert and Raj Kapoor. This comes with other pieces from Georgian folk music. These compositions are comprised of separate abstracts and tied together. It



ვერ დავარქმევდი, რომ ეს არის ყანჩელის მუსიკაზე გაკეთებული პროექტი. შეიძლება ინსპირაცია თავიდან იყო ყანჩელის მუსიკა, რადგან უმეტესი ნომრები სწორედ მისი კინო მუსიკით იწყება. მაგრამ შემდეგ რაც ხდება, რისი შერწყმაც ხდება ეს არის ჩიკ კორეა, მაიკ სტერნი, მაილს დევისი, როდრიგოს გიტარის კონცერტი, რაჯ კაპური. ამას კიდევ ემატება ბევრი ციტატა გადამუშავებული ქართული ფოლკლორიდან. ეს კომპოზიციები ცალკეული ციტატებისგან შედგება და ყველაფერი შეკრულია. ფაქტია, რომ ჩვენი მეგობრები ვირტუოზები არიან და არაჩვეულებრივად უკრავენ“.

ის რაც მაყურებელმა 26 მაისს, თბილისის საკონცერტო დარბაზში მოისმინა, უკვე ჩაწერილია კომპაქტ დისკზე. მას შემდეგ რაც „ბრავო რექორდის“ ხელმძღვანელი ზაზა შენგელია ლატვიაში გამართულ კონცერტზე კულტურათაშორისი დიალოგის მომსწრე გახდა, გადაწყვიტა ხმის ჩამწერი სტუდიის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური პროექტისთვის ჩაეყარა საფუძველი. „არაჩვეულებრივი გამოფენა“ სწორედ ამ სტუდიის ბაზაზე მომზადდა.

კონცერტი, რომელიც დიდხანს ემსხოვრება თბილისს – ასე შეაფასა მაყურებელმა თბილისის საკონცერტო დარბაზში 26 და 29 მაისს გამართული საღამოები.

is a fact that these musicians are virtuoso performers and play wonderfully.”

The music the audience heard on May 26 at Tbilisi Concert Hall has been recorded on CDs. When manager of Bravo Records Zaza Shengelia attended cultural exchange during a concert in Latvia, he decided to found one of the highest-scale projects in the history of the studio. It was this studio’s technical basis that served for *Extraordinary Exhibition*.

“A concert Tbilisi will remember for a long time” was the audience’s assessment of May 26 and May 29 evenings at Tbilisi Concert Hall.

გიორგი ცაავას და გელა ბედიაშვილის (კულტურის სამინისტრო) ფოტოები  
 Photographs by Giorgi Tsaava and Gela Bedianashvili (Ministry of Culture)

ამერიკული პროექტი

„ცეკვა აკავშირებს“ სოციალური პროექტია, რომელიც ამერიკულმა კომპანია Battery Dance Company-მა ორმოცზე მეტ ქვეყანაში განახორციელა. მასში ათასობით მოხალისე და პროფესიონალი მონაწილეობდა. ამერიკული დასის მისია ცეკვის გავრცელება და კრეატიული გარემოს შექმნაა იმ ადამიანებისთვის, ვინც მათთან თანამშრომლობის სურვილს გამოთქვამს.

საქართველოში ამერიკის საელჩოს ორგანიზებით Battery Dance Company-ის ამერიკელი მსახიობები მარტში ჩამოვიდნენ. ისინი ვ. ჭაბუკიანის სახელობის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებლის მოსწავლეებთან,



საზოგადოება „ბილიკის“ დღის ცენტრების, სამოქალაქო კლუბების მოზარდებთან და ორგანიზაციის მოხალისეებთან, თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან, ქართული ნაციონალური ბალეტის – „სუხიშვილების“, მარნეულის რაიონის ჯგუფ „ბუთას“ წევრებთან ერთად მუშაობდნენ. შემაჯამებელი წარმოდგენა 5 აპრილს, გრიბოედოვის თეატრში გაიმართა.



Battery Dance Company ამერიკული საბალეტო დასია. ცეკვავენ მოდერნ ბალეტს ჰიპ-ჰოპის და სხვა თანამედროვე ცეკვის ელემენტებით. დასს თითქმის ორმოცწლიანი ისტორია აქვს, მისი წევრები წარმოშობით სხვადასხვა კონტინენტებიდან არიან და ნიუ-იორკში მუშაობენ.

AMERICAN PROJECT

Dancing to Connect is a social project carried out in more than forty countries by Battery Dance Company from the United States. The project features thousands of volunteers and professionals, with the mission of the American company being to promote dance and creative atmosphere for the individuals cooperating with them.

The American artists' visit in Georgia in March was organized by the Embassy of the United States in Tbilisi. They worked alongside students of Vakhtang Chabukiani State School of Ballet Art, volunteers from Day Centers, public clubs and the organization of the Biliki Society, as well as Theatre and Cinema State University students and members of the Sukhishvilis National Ballet and Buta Group of Marneuli District. The



concluding show was presented on April 5 at Aleksandr Griboyedov Theatre.

Battery Dance Company performs modern ballet with elements of hip-hop and other modern styles. The company has a history of almost forty years and features members of various continents working in New York.



**გრან-პრი რიგის კონკურსში**

2013 წლის 25-29 აპრილს რიგაში, ყოველწლიურ საერთაშორისო ახალგაზრდულ საბალეტო კონკურსზე Riga Spring-2013, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასის ახალგაზრდა მოცეკვავეებმა ნინო სამადაშვილმა და ერიკ ბუროუმ პირველი პრემია და გრან-პრი მიიღეს. საკონკურსო პროგრამაში მათ წარმოადგინეს შავი გედის პა დე დე პ. ჩაიკოვსკის ბალეტიდან „გედების ტბა“ და ადაჟიო იური პოსოხოვის ერთმოქმედებიანი ბალეტიდან „საგალობელი“.

რიგის საერთაშორისო კონკურსის გამარჯვებულები 2012 წელსაც ქართველი მოცეკვავეები გახდნენ – საბალეტო დასის სოლისტებმა ნუცა ჩეკურაშვილმა და მამუკა კიკალიშვილმა კონკურსის გრან-პრი მიიღეს.



**GRAND PRIX OF THE RIGA CONTEST**

April 25 to 29 in Riga, Latvia featured international ballet contest Riga Spring 2013 for young performers, where Tbilisi Opera and Ballet Theatre dancers Nino Samadashvili and Eric Burrough were awarded the First Prize and the Grand Prix. They presented the Black Swan pas de deux from *Swan Lake* and the adagio of one-act ballet *Sagalobeli* by Yuri Possokhov.

The Riga contest winners of 2012 were also from Tbilisi Opera and Ballet Theatre Ballet Company, with soloists Nutsa Chekurashvili and Mamuka Kikalishvili winning the Grand Prix.

**ქორეოგრაფიულის გამოსაშვები საღამო**



**GRADUATION EVENING OF THE CHOREOGRAPHIC SCHOOL**

Aleksandr Griboyedov Theatre in Tbilisi hosted the 2013 Graduation Evening of Vakhtang Chabukiani State School of Ballet Art on April 26 and 27. Students of all levels of the school were featured in a three-part program, with *Aybolit* by Igor Morozov and *Paquita* by Ludwig Minkus presented alongside separate choreographic pieces. The evening also featured participation of National Conservatory of Dance School of Lisbon students Francisco Sebastiao and Tiago Coelho, with Lisbon Dance School Director Pedro Carneiro also present on the event. Francisco Sebastiao danced the pas de deux from *Paquita*, partnering Tbilisi Opera and Ballet Theatre soloist Nino Matiasvili.

26 და 27 აპრილს გრიბოედოვის თეატრში ვ. ჭაბუკიანის სახელობის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებელმა 2013 წლის გამოსაშვები საღამო გამართა. სამგანყოფილებიან პროგრამაში სასწავლებლის ყველა საფეხურის მოსწავლე მონაწილეობდა. ცალკეული ქორეოგრაფიული ნომრების გარდა მაყურებელს ი. მოროზოვის „ექიმი აიბოლიტი“ და ლ. მინკუსის „პაჩიტა“ შესთავაზეს. გამოსაშვებ საღამოში პორტუგალიის ეროვნული კონსერვატორიის ცეკვის სკოლის მოსწავლეები ფრანცისკო სებასტიო და ტიაგო კოელიო მონაწილეობდნენ. მათთან ერთად თბილისში ლისაბონის ცეკვის სკოლის დირექტორი პედრო კარნიერო იმყოფებოდა. ფრანცისკო სებასტიომ საბალეტო დასის სოლისტთან ნინო მათიაშვილთან ერთად გამოსაშვებ საღამოზე იცეკვა პა დე დე ბალეტიდან „პაჩიტა“.



# თანამედროვე ცეკვის ფესტივალი თბილისში

თანამედროვე ცეკვისა და ექსპერიმენტული ხელოვნების პირველი სამხრეთკავკასიური ფესტივალი თბილისში 2013 წლის 2-9 ივნისს გაიმართა. ფესტივალის შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს და ქართული არასამთავრობო ორგანიზაცია „პლატფორმა ცვლილებებისთვის“ ორგანიზებით, თბილისის მერიის მხარდაჭერით და ევროპის სახლთან პარტნიორობით ჩატარდა.

ფესტივალი 2 ივნისს, თბილისში, სამეფო უბნის თეატრში, ამერბაიჯანელი, სომეხი და ქართველი ქორეოგრაფების ნამუშევრების წარმოდგენით გაიხსნა. ამერბაიჯანელმა საბინა შიხლინსკაიამ და კამრან სულთანლიმ და ავსტრიელმა პერფორმანს-ხელოვანებმა ერთობლივი პერფორმანსი „Greenwax On“ წარმოადგინეს. ქორეოგრაფმა რიმა პოპოიანმა, ერევნიდან, დანტე ალიგიერის ნაწარმოების მიხედვით დადგმული ერთმოქმედებიანი ბალეტი „ახალი ცხოვრება“ შესთავაზა მაყურებელს. თანამედროვე ქართველმა ქორეოგრაფმა მარიამ ალექსიძემ ფესტივალისთვის თანამედროვე ბალეტი V&V დადგა. ისტორია თავფარავნულ ტაბუკზე, ქართული ფოკლორიდან, ვია ყანჩელის და იანის ქსენაკის მუსიკის ფონზე ვითარდება. ბალეტში სინათლის შუქს, ანუ ტაბუკისთვის საყვარელ ქალს, საბალეტო დასის წამყვანი სოლისტი ნინო გოგუა ასრულებს. ბალეტში ასევე ფრანგი მოცეკვავეები – ნაჰუელ ალესანდრო ვეგა (მარსელის „ევროპული ბალეტი“) და სილვი შქემბი (მარსელის ნაციონალური ბალეტი) არიან დაკავებული, რომლებიც თბილისში სპეციალურად ამ დადგმაში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდნენ.

ფესტივალის პროგრამის ფარგლებში გაიმართა საჯარო დისკუსია თანამედროვე ცეკვის განვითარების პერსპექტივებსა და გამოწვევებზე სამხრეთ კავკასიაში, ვერის ბაღში „არ-ბალეტისა“ და ანსამბლ „ქართველოს“ ერთობლივი პერფორმანსი იქნა წარმოდგენილი

პერფორმანსი ვერის ბაღში  
A Performance in the Vera Park

ჟილ ჟობენის (ჟენევა) დასის სპექტაკლი „Spider Galaxies“  
A master class by Tatiana Fateeva at the Opera and Ballet Theatre

ტატიანა ფატეევა მასტერკლასი ოპერისა და ბალეტის თეატრში  
A performance of Spider Galaxies by Cie Gilles Jobin company (Geneva, Switzerland)

“V@V” – მარიამ ალექსიძის სპექტაკლი V&V by Mariam Aleksidze



(დამდგმელი რეჟისორი ლელა ჭინჭარაული). თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასისა და ქორეოგრაფიული სასწავლებლის მოსწავლეებისათვის თანამედროვე ცეკვის საშემსრულებლო ტექნიკაში ტატიანა ფატეევამ მასტერ-კლასები გამართა. ფესტივალი 9 ივნისს ცნობილი შვეიცარელი ქორეოგრაფის ჟილ ჟობენის დასის ერთმოქმედებიანი ბალეტით „Spider Galaxies“ დაიხურა.

თანამედროვე ცეკვისა და ექსპერიმენტული ხელოვნების სამხრეთკავკასიური ფესტივალი 18 თვეზე გაწერილ და რამდენიმე სხვადასხვა სივრცეში გაშლილ პროგრამას წარმოადგენს. შემოდგომაზე გიორგი ალექსიძისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია დაგეგმილი, დეკემბერში მაყურებელი სამხრეთ კავკასიის საბალეტო ტრადიციების შესახებ ფილმს იხილავს. ორგანიზატორები გეგმავენ პატივი მიაგონ კლასიკურ ბალეტს, რომლის გარეშე თანამედროვე ცეკვა უღიმღამო იქნებოდა.



38 | Arabesque N°21





The festival opened on June 2 with a presentation of works by choreographers from Azerbaijan, Armenia and Georgia at Royal District Theatre in Tbilisi. Sabina Shikhlinskaya and Kamran Sultanli from Azerbaijan presented a collaborative performance *Greenwax On* with performance artists from Austria. Choreographer Rima Pipoyan from Yerevan, Armenia offered one-act ballet *New Life* based on a piece by Dante Alighieri. Georgian contemporary choreographer Mariam Aleksidze staged a ballet *V&V* for the festival. The latter work concerns a story of *Fellow* from Tavpharavani from the Georgian folklore, staged on music by Gia Kancheli and Iannis Xenakis. The ballet features Tbilisi Opera and Ballet Theatre Company Leading Soloist Nino Gogua in the role of the ray of light, representing a woman subject of love for a young man. The piece also showcases French dancers Nahuel Alejandro Vega (Ballet d'Europe,

# Contemporary Dance Festival in Tbilisi

Tbilisi hosted the first South Caucasian Festival for Contemporary Dance and Experimental Art from June 2-9. Swiss Agency for Development and Cooperation and the Georgian non-governmental organization Platform for Changes were initiators and organizers of the project, while the festival event was staged with support from the Swiss Agency for Development and Cooperation and Tbilisi City Hall, in partnership with Europe House.

Marseilles, France) and Silvi Shkembi (The National Ballet of Marseilles, France), who traveled to Georgia for participating in the staging.

In frames of the festival a public discussion event was organized on the topic of perspectives and challenges of contemporary dance development in South Caucasus. The Vera Park hosted a joint performance by Ar-Ballet and the Georgian ensemble (staging director Lela Tchintcharauli), while Tatiana Fateeva organized contemporary dance technique master classes for dancers of Tbilisi Opera and Ballet Theatre Company and students of the Choreographic School. The festival concluded on June 9 with one-act ballet *Spider Galaxies* by well-known Swiss choreographer Gilles Jobin.

The South Caucasian Festival of Contemporary Dance and Experimental Art represents an 18-month program planned for various spaces. A scientific conference dedicated to the art of late choreographer Giorgi Aleksidze is planned for fall, while a film about South Caucasian ballet traditions has been scheduled for showcase in December. Organizers plan to honor classical ballet, without which contemporary dance would be colorless.



გაბა გოგუაძის ფოტოგრაფია  
PHOTOGRAPHS BY MAKHA GOGOLADZE

ილია თავბერიძე

Ilia Tavberidze

2014 წლის იანვარში სრულდება 110 წელი ჯორჯ ბალანჩინის დაბადებიდან. ამ თარიღს საქართველოშიც სხვადასხვა ღონისძიებები მიეძღვნება. საიუბილეო პროგრამაში მთავარ ადგილს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი დაიკავებს, რომლის საბალეტო დასი მაცურებელს მისტერ ბის კიდევ ერთი ბალეტის პრემიერას შესთავაზებს. პროექტი საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსთან ერთად ხორციელდება.

ჩვენ ვაგრძელებთ წერილების გამოქვეყნებას ჯორჯ ბალანჩინის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. ამჯერად მოგითხრობთ ბალეტზე, რომელიც მოცარტის „რეკვიემის“ და ჩაიკოვსკის მეექვსე სიმფონიის მსგავსად, უკანასკნელი აღმოჩნდა ბალანჩინის შემოქმედებაში.

January 2014 marks 110th anniversary of the birth of George Balanchine. Celebrations of the date will be held in Georgia too, with various events. The anniversary program will feature a central role for Tbilisi Opera and Ballet Theatre, with its ballet company preparing another premiere of Mr B's ballet. The project is carried out in cooperation with the Embassy of the United States in Georgia.

We continue our series on George Balanchine's life and art with the story of the ballet which – similarly to Mozart's *Requiem* and Tchaikovsky's *Symphony No. 6* – turned out to be the last piece of Balanchine's artistic career.

# ბალეტი – ეპილოგი

## The Epilogue Ballet

ბალანჩინის გარდაცვალების შემდეგ ბრიტანელმა კრიტიკოსმა კლემენტ კრისპმა დაწერა ის, რასაც 80-იანი წლების დასაწყისში ბევრი ფიქრობდა – ბალანჩინი, როგორც შემოქმედი, პუბლიკას ჩაიკოვსკის ფესტივალით დაემშვიდობა. ასეთი ფესტივალი ჯორჯ ბალანჩინმა 1981 წელს, „ნიუ იორკ სითი ბალეში“ მოაწყო და ისე როგორც სტრავინსკის (1972 წელი) და რაველის (1975 წელი) ფესტივალებზე, აქაც მხოლოდ ერთი კომპოზიტორის მუსიკალურ ნაწარმოებებზე დადგმული ბალეტები წარმოადგინა. საბალეტო დღესასწაული ნიუ-იორკში თერთმეტ დღეს გრძელდებოდა და თხუთმეტ პრემიერას მოიცავდა. ციფრებს თუ გავყვებით, ალბათ ისიც საინტერესოა ითქვას – ბალანჩინმა ჩაიკოვსკის მუსიკაზე სულ 37 ბალეტი დადგა. იქნებ ლოგიკურად იყო, რომ ავადმყოფობისგან საკმაოდ დასუსტებული ბალანჩინი ამ ფესტივალით თითქოს მადლობას უხდოდა კომპოზიტორს, ვისი მუსიკაც მისი შემოქმედების შთაგონებად იქცა. „ის ჩემი მეგობარი იყო. ის რუსია. მეც ნახევრად რუსი ვარ და ნახევრად ამერიკელი. მე მას ტელეფონით ვესაუბრე. მან მითხრა: კარგი იქნებოდა რამე გაგეკეთებინა“ – ხუმრობდა ფესტივალის დღეებში პრესასთან ბალანჩინი.

ფესტივალის ერთჯერადი ლოკაცია ფილიპ ჯონსონის მიერ სცენაზე აგებული ულამაზესი სასახლე იყო. ბალანჩინის მეგობარმა და სთეით თეატრის არქიტექტორმა ვინულის სასახლე ქორეოგრაფის დაკვეთით შექმნა. სასახლეს ერთადერთი დეკორაცია – შანდლები უნდა ჰქონოდა. სცენის მუშები დამატებით საათებს შრომობდნენ ბრწყინვალე სცენოგრაფის შესაქმნელად. სხვადასხვა სიგრძის

British dance critic Clement Crisp said after Balanchine's death what many thought in the beginning of 1980s – that Balanchine had paid his creative farewell to the public at the Tchaikovsky Festival. The festival was organized by Balanchine in 1981 at New York City Ballet and just like festivals of Stravinsky (1972) and Ravel (1975) he presented ballets created on music by a single composer. The ballet celebration lasted in New York for eleven days and included fifteen premieres. Continuing with figures, it would probably be interesting to note that Balanchine staged a total of 37 ballets on music by Tchaikovsky. It was possibly logical that quite weakened by illness, Balanchine was expressing his gratitude for the composer whose work had become an inspiration for him. “He was my friend. He is Russian, while I am half-Russian and half-American. I called him on phone and he told me ‘would be good if you staged something’”, joked Balanchine to the press in days of the festival.

A beautiful castle created by Philip Johnson on stage served as a one-time location for the festival. The friend of Balanchine and architect of State Theatre created the construction on request by the choreographer. Balanchine asked that candlesticks be the only prop of the castle. Stage hands worked extra hours to create the brilliant scenography. The set – created from thousands of polyethylene tubes of varying length and hanged on all sides of the stage – created an effect of transparent castle and allowed to create different spaces for various ballets. For *Mozartiana* the tubes were made to resemble the shape of an abstract temple.





სიუზან ფარელი და იბ ანდერსენი „მოცარტიანას“ რეპეტიციებზე ჯორჯ ბალანჩინთან  
Suzanne Farrell and Ib Andersen at the first rehearsal of *Mozartiana* with George Balanchine

პოლიეთილენის ათასობით მილისგან აგებული დეკორაცია, რომელიც სცენის ყოველ მხარეს ეკიდა, გამჭვირვალე სასახლის ეფექტს ქმნიდა და იძლეოდა საშუალებას თითოეული ბალეტისთვის სხვადასხვა სივრცე შეექმნა. მაგალითად, „მოცარტიანასთვის“ მიწები აბსტრაქტული ტაძრის ფორმას იღებდნენ.

ფესტივალის პროგრამაში ბალანჩინმა ჩაიკოვსკის მეექვსე სიმფონიის უკანასკნელ ნაწილზე დადგმული ბალეტიც (*Adagio Lamentoso*) წარმოადგინა. მოცეკვავეებს კოსტიუმებზე უზარმაზარი, ანგელოზის ფრთები ჰქონდათ დამატებული, რომელიც სანკტ-პეტერბურგის ალექსანდრე ნეველის ლავრაში ჩაიკოვსკის საფლავის მონუმენტის ასოციაციას აჩენდა; შავით შემოსილი, დამხობილი ბერები უკანასკნელ გულისცემას გამოსახავდნენ, დასასრულს კი პატარა ყმაწვილი ბნელ სცენაზე დარჩენილ ერთადერთ სანთელს აქრობდა. ამ ბალეტის შემდეგ ბალანჩინს ჩაიკოვსკის მუსიკაზე აღარაფერი დაუდგამს. თუმცა ფესტივალის პროგრამით ჩაიკოვსკის მე-6 სიმფონიის უკანასკნელ ნაწილზე შექმნილი ბალეტი სულ ბოლოს წარმოადგინეს, ბალანჩინის შემოქმედების ფინალურ წერტილად მაინც „მოცარტიანა“ მიჩნეული. თუ „სერენადა“ ბალანჩინის თეატრის სიმბოლო-ბალეტია – ამ კომპანიის დასაწყისში შექმნილი შედეგრი, „მოცარტიანამ“

In the festival program Balanchine also presented *Adagio Lamentoso*, staged on the final part of Tchaikovsky's *Symphony No. 6*. Dancers had large angel wings on their costumes that created resemblance of the Tchaikovsky grave in the Alexander Nevsky Lavra in St. Petersburg; prostrate monks, dressed in black, represented the final heartbeat, while a young boy blew out the only remaining candle on stage at the end. This was the final ballet Balanchine staged on Tchaikovsky music. Even though the work on Tchaikovsky's *Symphony No. 6* was presented at the end of the festival program, it is *Mozartiana* that is perceived as the final point of Balanchine's creative career. If *Serenade* was a symbol of New York City Ballet – a masterpiece created during the company's dawn – *Mozartiana* took an entirely different symbolic meaning. The choreographic poem, inspired by amazing mysticism, became the epilogue of Mr B's art.

But *Mozartiana* still does not look like a farewell. It is a brighter ballet that begins with a prayer and offers a celebratory end. Balanchine himself was behind the idea of contrasts in the ballet – black costumes on the stage lit up in light blue, and the white layered black costume of the soloist ballerina that underwent numerous changes. Participants are also few: four ballerinas and four little girls, a male performer of the Gigue and

სხვა სიმბოლური დატვირთვა შეიძინა. საოცარი მისტიკით შთაგონებული ქორეოგრაფიული პოემა მისტერ ბის შემოქმედების ეპილოგად იქცა.

მაგრამ „მოცარტინა“ თავისი ხასიათით გამოთხოვებს არ გავს. იგი უფრო ნათელი ბალეტია, რომელიც ლოცვით იწყება და საზეიმო დასასრული აქვს. ბალეტის კონტრასტები თავად ბალანჩინის იდეაა – შავი ფერის კოსტიუმები, ცისფრად განათებული სცენის ფონზე და არაერთგზის გადაკეთებული ბალერინა-სოლისტის შავი კოსტიუმი, რომელსაც შიგნიდან თეთრი ფონი აქვს. არც მონაწილეთა რაოდენობაა ბევრი: ოთხი ბალერინა და ოთხი ბალერინა-მოსწავლე, ჟიგას შემსრულებელი მამაკაცი მოცეკვავე და წყვილი – ბალერინა და მისი პარტნიორი. მთელი ანსამბლი ეს არის. „მოცარტიანა“ ბალერინასთვის დადგმული ბალეტია, როგორც უმეტესად ხდება ბალანჩინთან. და ეს ბალერინა სიუზან ფარელი იყო – ბოლო მუზა და სიყვარული მის შემოქმედებაში.

ბალანჩინის ბალეტების შექმნის ისტორია ყოველთვის ინტერესს იწვევს. ისინი მხოლოდ მშრალ ფაქტებს არ შეიცავენ, მის მიღმა ქორეოგრაფის შემოქმედებითი პროცესის დანახვაც შეიძლება. „მოცარტიანას“ დადგმასაც საინტერესო ისტორია აქვს. ბალანჩინი ორჯერ დაუბრუნდა მოცარტის საფორტეპიანო პიესებზე შექმნილ სიუიტას და ორი განსხვავებული ბალეტი დადგა. აქედან ერთი ბალეტის ისტორიის ნაწილია, მეორე კი ამ ხელოვნების უდიდესი მემკვიდრეობა.

a couple comprise the entire ensemble. Still, *Mozartiana* is a ballet staged for a ballerina, like it usually happens with Balanchine. For this piece, Suzanne Farrell was the ballerina – and the last muse of his creations.

Stories of how Balanchine ballets are made are always of interest. They include not just dry facts but present the creative process of the choreographer. *Mozartiana* also has an interesting story. Balanchine addressed the suite on Mozart piano pieces twice and created two different ballets. One of these works is part of ballet art history, while another represents the greatest legacy of this art.

“Some think Tchaikovsky is a simple composer”, Balanchine told Solomon Volkov, “Let them listen to his *Mozartiana* suite. There are some things to think about.” Balanchine thought a lot about the topic and spoke about the reasons behind Tchaikovsky’s decision on arranging music by Mozart. “We know he admired Mozart; but Mozart was not played much at that time. He created orchestra versions of Mozart’s piano pieces because he thought they would be played often in the future. But understanding this is not the main thing. We will never know why Tchaikovsky went after Mozart’s Ave Verum prayer”, Balanchine said while speaking how Tchaikovsky created not only new arrangement of Mozart but a new stylization, similar to how Stravinsky worked on Pergolesi. “This is Tchaikovsky’s tribute to Mozart, a tribute



სიუზან ფარელი „მოცარტიანაში“  
Suzanne Farrell in *Mozartiana*

„ზოგი ფიქრობს, რომ ჩაიკოვსკი უბრალო კომპოზიტორია — ეუბნებოდა ბალანჩინი სოლომონ ვოლკოვს — დაე, მოისმინონ მისი სიუიტა „მოცარტიანა“. იქ არის რაზეც შეიძლება დაფიქრდე“. საერთოდ, ბალანჩინი ბევრს ფიქრობდა ამ თემაზე, საუბრობდა თუ რატომ გადაწყვიტა ჩაიკოვსკიმ მოცარტის არანჟირება — „ჩვენ ვიცით, რომ ის ეთაყვანებოდა მოცარტს; მოცარტს კი იმ დროს არც თუ ისე ხშირად უკრავდნენ. ის აკეთებდა მოცარტის საფორტეპიანო ნაწარმოებების გაორკესტრებას, რადგან თვლიდა, რომ ამის შემდეგ მას ხშირად შეასრულებდნენ. მაგრამ მართო ამის გაგება არაა მთავარი. თუ რატომ მოკიდა ხელი ჩაიკოვსკიმ მოცარტის ლოცვას Ave Verum ჩვენ ვერსადროს გავიგებთ“ — ამბობდა ბალანჩინი და აღტაცებით

by a Russian composer to an Austrian one. It is a completely modernist music, especially the Variation and the Gigue. An unimaginable harmony! Tchaikovsky was very young when he created *Mozartiana*. Had he lived longer, I can not even begin to imagine the things he would have done. *Mozartiana* already bears the idea of modernist stylization. I hear notes of St. Petersburg. And it is pleasing to me to know Tchaikovsky wrote *Mozartiana* in Georgia”, ecstatic Balanchine would say.

Tchaikovsky wrote *Mozartiana* during his trip to Borjomi in 1888. The ballet on the music first premiered in 1933 in company called Les Ballets 1933. Tamara

ყვებოდა როგორ შექმნა ჩაიკოვსკიმ მოცარტის არა მხოლოდ ახალი არანჟირება, არამედ ახალი სტილიზაცია, როგორც, მაგალითად, სტრავინსკიმ პერგოლეზი დაამუშავა. „ეს არის ჩაიკოვსკის მიძღვნა მოცარტისადმი,

Toumanova and several students of Preobrajenska followed Balanchine from the Russian Monte Carlo company to the new troupe. The choreographer also invited dancers of Bronislava Nijinska. *Mozartiana* became the first ballet of the company and the first work without plot for Balanchine. Rehearsals began in Paris in 1932, while the premiere was held on June 7, 1933 in the Champs-Élysées Theatre of the capital.

Adagio Lamentoso



რუსი კომპოზიტორის მიძღვნა ავსტრიელი კომპოზიტორისადმი. ეს სრულიად მოდერნისტული მუსიკაა, განსაკუთრებით ვარიაცია და ჟიგა. წარმოდგენელი ჰარმონია! როცა „მოცარტიანა“ გააკეთა, ჩაიკოვსკი სრულიად ახალგაზრდა იყო. მას რომ ხანგრძლივად ეცოცხლა, წარმოდგენაც კი არ შემოიძლია, რას გააკეთებდა. „მოცარტიანაში“ უკვე დევს მოდერნისტული სტილიზაციის იდეა. მესმის პეტერბურგული ნოტები. და ჩემთვის სასიამოვნოა, რომ ჩაიკოვსკიმ „მოცარტიანა“ საქართველოში დაწერა – ამბობდა აღტაცებაში მყოფი ბალანჩინი.

„მოცარტიანა“ ჩაიკოვსკიმ მართლაც ბორჯომში დასვენების დროს, 1888 წელს,

Curtain of the performance featured a silhouette drawing of Mozart behind a harpsichord. The ballet opened with the Gigue, followed by six ballerinas in orange-red tutus dancing the minuet. It was followed by Ave Verum. The number featured Tamara Toumanova and Roman Jasinski dancing the Adagio and several variations. The ballerina was dressed in black classical tutu with long wings on her head, while the male costume was similar to the one created for Nikolai Legat's Prince Siegfried. Boris Kochno had taken the sketch for the costume from the St. Petersburg Imperial Theatre.

Ahead of *Mozartiana*'s second staging the choreographer rearranged musical pieces of the ballet, while the work itself was an entirely new creation. Everything was changed – there was neither the curtain drawing of Mozart, nor colorful costumes and sets.

*Mozartiana* was presented only once during the Tchaikovsky festival. Farrell suffered a serious injury during the pas de deux, which meant the following shows were cancelled. The lucky audience of the premiere got to see how Balanchine paid farewell to his favorite composer Mozart,

დაწერა. ბალეტის პირველი პრემიერა კი 1933 წელს შედგა ბალანჩინის მიერ ჩამოყალიბებულ დასში, რომელსაც სახელად „ბალეტი 1933“ (Les Ballets 1933) ეწოდა. მონტე-კარლოს რუსული ბალეტიდან ბალანჩინს თამარა თუმანოვა და პრეობრაჟენსკაიას რამდენიმე მოსწავლე გაჰყვა თან. „მოცარტიანა“ ამ დასის პირველი ბალეტი იყო და პირველი უსიუჟეტო ბალეტი ბალანჩინის შემოქმედებაში. რეპეტიციები პარიზში 1932 წელს დაიწყო. პრემიერა კი 1933 წლის 7 ივნისს პარიზში, ელისეს მინდვრების თეატრში, გაიმართა.

„მოცარტიანას“ ფარდა კლავესინთან მჯდარი მოცარტის სილუეტით იყო მოხატული. ბალეტი ჟიგათი იწყებოდა. შემდეგ კი სცენაზე ფორთოხლისფერ-წითელ პაჩკებში ჩაცმული ექვსი ბალერინა ჩნდებოდა, რომლებიც მენუეტს ასრულებდნენ. „Ave Verum“ კი მენუეტს მოსდევდა. ამ ნომერში ადაჟიოს და რამდენიმე ვარიაციას თამარა თუმანოვა და რომან იასინსკი ასრულებდნენ. ბალერინა შავი კლასიკური პაჩკით იყო წარმოდგენილი, თავზე გრძელი ფრთებით. მამაკაცის კოსტიუმი კი – ნიკოლოზ ლეგატისათვის შექმნილი პრინცი ზიგფრიდის კოსტიუმის ანალოგს წარმოადგენდა. ესკიზი ბორის კონხოს პეტერბურგის საიმპერატორო თეატრიდან ჰქონია წამოღებული.

„მოცარტიანას“ მეორედ დადგმის დროს ქორეოგრაფმა ნაწარმოების მუსიკალური ნაწილები გადაადგილა. ბალეტი სრულიად ახალი ქმნილება იყო. აქ ყველაფერი შეიცვალა – აღარც მოცარტის გამოსახულებიანი ფარდა ჩანდა და აღარც ფერადოვანი კოსტიუმები და დეკორაცია.

ბალეტი ჩაიკოვსკის ფესტივალზე მხოლოდ ერთხელ წარმოადგინეს. პა დე დეს შესრულების დროს, ფარელმა მძიმე ტრამვა მიიღო, რის გამოც სხვა სპექტაკლები მოიხსნა. ილბლიანებს გაუმართლათ – პრემიერის მაყურებელს საშუალება ჰქონდა საკუთარი თვალით ენახა თუ როგორ ემშვიდობებოდა ბალანჩინი მოცარტს – საყვარელ კომპოზიტორს, ჩაიკოვსკის – მის შთაგონებას ქორეოგრაფიაში და ფარელს – ყველაზე დიდ და ბოლო სიყვარულს.

მას შემდეგ, რაც ფარელმა ბალანჩინის გადაწყვეტილების შესახებ გაიგო – დაედგა „მოცარტიანა“ და ის ყოფილიყო

his choreographic inspiration Tchaikovsky and his greatest and final love – Farrell.

When Farrell learnt Balanchine was planning to stage *Mozartiana* and create the principal role for her – meaning she would be the inspiration for the ballet – she went for a copy of the score. She knew it could be Balanchine’s last ballet. Farrell was astonished when she first put the music on – the music she had known all her life and sung in church was coming part of her life again.

She was partnered by Ib Andersen, a Danish dancer who was a new acquisition of New York City Ballet. There was much talk about Balanchine presenting himself by choosing Andersen – similar in physique to him – for the role.

In *Mozartiana* the curtain rises in silence. Four little ballerinas stand on stage. They create a half circle, in middle of which a ballerina in black tutu is dancing. The ballet begins with silent tones of *Ave Verum*. The ballerina moves slowly and opens her arms above her head, where a circle is created. Farrell associated the movement with the pose of the statue of the Virgin at the Church of the Blessed Sacrament on 71st Street in New York. Balanchine loved associations like that. The light becomes stronger after the *Preghiera*, with the ballet continuing with the *Gigue* solo of a male dressed in black. The *Gigue* is followed by minuet of four tall girls and then by the *pas de deux* of the principal couple. The ballet is concluded by a *Coda* that represents the climax of the most celebratory dance created by Balanchine. This is the structure of *Mozartiana*.

After one of the performances Mr B went to Farrell’s dressing room. They looked at each other in silence for some time. Then she told Balanchine: “You know, George, I think *Mozartiana* is what heaven must be like.”

1999 წელს მოსკოვის დიდ თეატრში „მოცარტიანა“ პირველად დაიდგა ნინო ანანიავილისათვის. ბალერინასთან მოსკოვში თავად სიუზან ფარელი მუშაობდა. ნინო ანანიავილს პარტნიორობას სერგეი ფილინი უწევდა. პრინა-ბალერინამ მოცარტიანა ამერიკის ბალეტის თეატრში ანხელ კორელასთან ერთად იცეკვა.

*Mozartiana* was staged in 1999 for the first time for Nina Ananiashvili at the Bolshoi Theatre. Suzanne Farrell worked with the ballerina in Moscow. Ananiashvili was partnered by Sergei Filin. The prima ballerina also danced *Mozartiana* at American Ballet Theatre, with Angel Corella partnering her.

ნინო ანანიავილი და ანხელ კორელა. ჰიდემი სეტოს ფოტო  
Nina Ananiashvili and Angel Corella. Photograph by Hidemi Sato





2005 წლის 26 ნოემბერს „მოცარტიანას“ პრემიერა შედგა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში. დადგმა ბალანჩინის ყოფილმა მოსწავლეებმა, ბალანჩინის ფონდის წარმომადგენლებმა მარია კალეგარმა და ბარტ კუკმა განახორციელეს. პრემიერა ნინო გოგუამ და ლაშა ხოზაშვილმა იცეკვეს  
Tbilisi Opera and Ballet Theatre premiered Mozartiana on November 26, 2005. The staging was carried out by former pupils of Balanchine and representatives of The Balanchine Trust Maria Calegari and Bart Cook. The premiere was danced by Nino Gogua and Lasha Khozashvili

მთავარი პარტიის შემსრულებელი ამ ბალეტში, სიუზანმა „მოცარტიანას“ ჩანაწერი მოიპოვა. მან იცოდა, რომ შესაძლოა ეს ბალანჩინის უკანასკნელი ბალეტი ყოფილიყო. ფარელი მუსიკის პირველი მოსმენისთანავე გავიდა: მუსიკა, რომელსაც მთელი ცხოვრების განმავლობაში იცნობდა და რომელსაც ბავშვობაში ეკლესიაში ასრულებდა – კვლავ მისი ცხოვრების ნაწილი ხდებოდა.

პარტნიორობას ფარელს იბ ანდერსენი უწევდა. დანიელი მოცეკვავე, რომელიც „ნიუ იორკ სითი ბალეს“ ახალი შენაძენი იყო. მაშინ ბევრს საუბრობდნენ იმაზე, რომ მისტერ ბიმ ანდერსენის სახით, რომელიც აღნაგობით ძალიან წააგავდა ბალანჩინს, აბსტრაქტულად საკუთარი თავიც წარმოდგინა.

„მოცარტიანაში“ ფარდა სირუმეში იწევა. სცენაზე ოთხი პატარა ბალერინა დგას. ისინი ნახევარწრეში დგებიან, რომლის შუაშიც შავ „პაჩკაში“ გამოწყობილი ბალერინა ცეკვავს... ბალეტი მოცარტის

„Ave Verum“-ის ჩუმი ჰანგებით იწყება. ბალერინა ნელა მოძრაობს და ხელებს თავს ზემოთ ხსნის, სადაც რკალი კეთდება. ფარელი ამ მოძრაობას ნიუ იორკის 71-ე ქუჩაზე მდებარე წმინდა დლესასწაულის ეკლესიის წმინდა მარიამის ძეგლის პობად აღიქვამდა... ასეთი ასოციაციები ბალანჩინს უყვარდა. Preghiera-ს შემდეგ სინათლე მატულობს და ბალეტი შავად შემოსილი მამაკაცის Gigue სოლოთი გრძელდება. ჟიგას ოთხი მაღალი გოგონას მენუეტი მოჰყვება... შემდეგ მთავარი წყვილის პა დე დე სრულდება. ბალეტს საერთო კოდა ასრულებს – ბალანჩინის მიერ შექმნილი ყველაზე საზეიმო ცეკვის კულმინაცია. მოკლედ ასეთია „მოცარტიანას“ სტრუქტურა.

ერთ-ერთი სპექტაკლის შემდეგ მისტერ ბი ფარელის საგრიმიოროში შევიდა. გარკვეული დროის განმავლობაში ერთმანეთს ჩუმად უყურებდნენ. ბოლოს მან მიმართა ბალანჩინს: „იცი ჯორჯ, მგონი „მოცარტიანა“ სწორედ ისეთია, როგორც სამოთხე უნდა იყოს“.